

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და
კულტურის სამინისტრო

2020 წელს შესრულებული სამუშაოს
ანგარიში

განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური

პრიორიტეტის დასახელება: ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა

პროგრამის დასახელება:

წარმატებული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საყრდენს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და ქვეყნის მომავალში რესურსების ინვესტირებაა. შესაბამისად, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას და ხელს უწყობს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების დანერგვას აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებულ ტერიტორიაზე – გალის რაიონში – განთავსებულ სკოლებში. სამინისტრო მოწოდებულია ახალგაზრდებს შეუქმნას ხარისხიანი განათლების მიღებისათვის სათანადო სასწავლო პირობები და გარემო, რაც ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და შესაძლებლობების სათანადოდ წარმოჩენას, მათი საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესს და სხვ.

განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად დასახული მიზნები:

- სკოლების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
- გალის რაიონში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა
- განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების პროცესებში მონაწილეობა
- სამშვიდობო კულტურის დანერგვისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება აფხაზეთის საჯარო სკოლებში
- მოსწავლე-ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროგრამების შემუშავება და სათანადო ღონისძიებების გატარება და სხვა.
- მოსწავლეებისა და პედაგოგების პრობლემების იდენტიფიცირება.

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სამინისტროს შესაბამისი სამსახური ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- განათლების ხელშეწყობის პროგრამა – **0604**

➤ გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 09)

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, 2020 წლის მანძილზე განხორციელდა შემდეგი ქვეპროგრამები და აქტივობები:

გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 09)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე აფხაზეთში დარჩენილ მოქალაქეებს რთულ პირობებში უხდებოდათ ყოფნა. ისინი მუდმივად განიცდიან ზეწოლას სეპარატისტული ხელისუფლებისა და საოკუპაციო ძალების მხრიდან. მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორისა, გალის რაიონში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, მუსიკალური და სამხატვრო სკოლები, რომელთა პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური მუშაკები მაქსიმალურად ცდილობენ გაატარონ საქართველოს განათლების სისტემის პოლიტიკა და არ ჩამორჩნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ამიტომაც, ისინი მუდმივად უნდა გრძნობდნენ ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან როგორც მორალურ მხარდაჭერას, ასევე კონკრეტულ დახმარებას.

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ, გალის რაიონში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა.

შედეგი:

საანგარიშო პერიოდისთვის „გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (9 საბავშვო ბაღი), 4 მუსიკალური და 1 სამხატვრო სკოლის 181 ბენეფიციარი, მათ შორის 89 პედაგოგი, 92 ტექნიკური პერსონალი.

ბიუჯეტი: 340 000 ლარი

ხარჯი: 337 050 ლარი

„წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“
(პროგრამის კოდი 06 04 02)

პროგრამის დასაბუთება

აფხაზეთიდან დევნილ მრავალ ოჯახს დღესაც უწევს ცხოვრება მძიმე პირობებში - ზოგი კომპაქტური ჩასახლების ცენტრში, ზოგი ქირით. ბევრი მათგანი არ არის დაკმაყოფილებული სამუშაო ადგილით და შემოსავლით და არსებობის ძირითად წყაროს დღესაც წარმოადგენს სახელმწიფო შემწეობები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდებს და მათ ოჯახებს არ გააჩნიათ სწავლის გაგრძელების ფინანსური შესაძლებლობა, იძულებულნი არიან საგანმანათლებლო პროცესი შეწყვიტონ საერთოდ ან გარკვეული დროით.

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა წარმოადგენს სამინისტროს მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებას. მისი მიზანია აფხაზეთიდან დევნილი ნიჭიერი ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, რეალიზება და ღირსეული ადგილის დამკვიდრება ქვეყნის მშენებლობისა და განვითარების საქმეში.

შედეგი:

2020 წლის მანძილზე განხილულ იქნა **288** განცხადება, პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დაფინანსდა **234** წარმატებული ახალგაზრდა აფხაზეთიდან.

ბიუჯეტი: 148 700 ლარი

ხარჯი: 134 315, 74 ლარი

აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა

(ქვეპროგრამისკოდი: 06 04 17)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

აფხაზური ენა საქართველოს კონსტიტუციის თანახმად აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მეორე სახელმწიფო ენაა ქართულთან ერთად. შესაბამისად, აფხაზური ენის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვა, შესწავლა, მხარდაჭერა ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა.

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზური ენის პოპულარიზაცია და განვითარება მოზარდ-ახალგაზრდებში. სამინისტრო „აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერის“

ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს აფხაზეთის ენის მასწავლებლების ფინანსურ დახმარებას.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ აფხაზეთის საჯარო სკოლის პედაგოგები.

ბიუჯეტი: 15 385 ლარი

ხარჯი: 14700 ლარი

„სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“

(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 01)

პროგრამის დასაბუთება

აფხაზეთის სკოლების უმრავლესობა მცირებიუჯეტია, რის გამოც სკოლები ხშირად დახმარების გარეშე ვერ ახერხებენ არსებული პრობლემების მოგვარებას. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, საჭიროებებიდან გამომდინარე სკოლებისათვის გამოიყოფა თანხა სასწავლო პროცესისათვის, სასკოლო და სახელოვნებო ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების, ინვენტარის, საკანცელარიო ნივთების, თვალსაჩინოებების, კლასგარეშე დამხმარე ლიტერატურისა და ასევე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საჭირო მასალების შესაძენად.

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა წარმოადგენს სამინისტროს მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებას და მისი მიზანია სკოლების ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სასწავლო გარემოს გაუმჯობესება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებას.

შედეგი:

2020 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ განიხილა აფხაზეთის საჯარო სკოლების და გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ წარმოდგენილი ოკუპირებული გალის რაიონის 30 სკოლის განაცხადი და მიიღო გადაწყვეტილება:

- სსიპ აფხაზეთის N5 საჯარო სკოლას გამოეყოს 1227,10 ლარი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის სამშენებლო მასალის შეძენის მიზნით.
- სსიპ ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის N11 საჯარო სკოლას გამოეყოს 1650 ლარი იატაკის საფარის შეძენის მიზნით.
- სსიპ აფხაზეთის N2 საჯარო სკოლის დერეფნის იატაკის რეაბილიტაციისათვის 8000 ლარის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.
- სსიპ აფხაზეთის N5 საჯარო სკოლაში იატაკის შეცვლის მიზნით 2082 ლარის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.

- სსიპ ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის ეზოს ასფალტის საფარის რეაბილიტაციის მიზნით 810 ლარი 50 თეთრის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.
- სსიპ თემურ ბოკუჩვას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლაში რესურსოთახის კეთილმოწყობის მიზნით 2690 ლარის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.
- სსიპ აფხაზეთის N21 საჯარო სკოლის შენობის წყლის საწრეტის რეაბილიტაციის მიზნით 690 ლარის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.
- სსიპ აფხაზეთის N15 საჯარო სკოლის შესასვლელი ჭიშკრის შეძენის მიზნით 2600 ლარის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე;
- ოკუპირებული გალის რაიონის 30 სკოლის საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფის მიზნით 5250 ლარის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.

ბიუჯეტი: 25 000 ლარი

ხარჯი: 24 999,60 ლარი

5. დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები (ქვეპროგრამის კოდი: 060411)

გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენებიდან მრავალი წელი გავიდა. კონფლიქტის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ტრაგედია მუდმივად იყო მსჯელობის, დისკუსიის, დებატების, მწვავე პოლემიკის, კვლევის საგანი. დღეს მოდის თაობა, რომელიც აფხაზეთში არ დაბადებულა, აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ იცის მხოლოდ გადმოცემებიდან წიგნებიდან და ყოველივეს აღიქვამს, როგორც წარსულის დრამატულ მოვლენას. ზოგადად, აღინიშნება აფხაზეთის თემის ახლებურად გააზრებული და ფუნდამენტური კვლევის სიმწირე.

პროგრამის აღწერა:

აფხაზეთის საკითხის პოპულარიზაციისა და გააქტიურების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე ახალგაზრდების მხარდაჭერა. ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტების მოტივაციის ამაღლება.

შედეგი:

კომისიამ განიხილა დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიაზე წარდგენილი სტუდენტების დოკუმენტაცია (სულ 11 წარდგინება). სტუდენტთა დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და

ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების დაწესებისა და სტიპენდიების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის N12 დადგენილებით დამტკიცებული დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესის მე-4 მუხლის მოთხოვნებს. კომისიის გადაწყვეტილებით კანდიდატებს უარი ეთქვათ „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის“ მინიჭებაზე.

ბიუჯეტი: 2400 ლარი

ხარჯი: 2400 ლარი

6.აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია

(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 12)

განათლებული ახალგაზრდობა ქვეყნის წარმატებისა და განვითარების საწინდარია. თანამედროვე ეპოქაში მხოლოდ განათლებული და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი ადამიანები აღწევენ წარმატებას, ქმნიან ღირებულ პროდუქციას და გააჩნიათ იმის უნარი, რომ სამყაროს მუდმივად ცვალებად მოთხოვნილებებს ინოვაციური იდეების რეალიზაციით უპასუხონ. განათლებული და მაღალი კვალიფიკაციით აღჭურვილი საზოგადოების ჩამოყალიბება გრძელვადიანი პროცესია. მასში განსაკუთრებული ადგილი უკავია უმაღლესს განათლებას.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდობში ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნების შესწავლის მოტივაციის ამაღლებას, მათი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას და პროფესიონალებად ჩამოყალიბებას. პროექტის განხორციელება წარმოადგენს ახალგაზრდობის მხარდაჭერის მიმართულებით გადადგმულ ქმედით ღონისძიებას.

შედეგი:

ქვეპროგრამის „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია“ ფარგლებში შექმნილმა კომისიამ განიხილა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შემოსული 1 (ერთი) წარდგინება.

დარეჯან ირემაშვილს (პ/ნ 31001056227) - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ქიმიური ექსპერტიზის სამაგისტრო პროგრამის I კურსის სტუდენტს მიენიჭა ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია.

ბიუჯეტი: 815 ლარი

ხარჯი: 815 ლარი

➤ „ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ყოველ კვარტალურად უზრუნველყოფს ფინანსური (სოციალური) დახმარების გაცემას, რომლის ოდენობაც 2020 წლისთვის განისაზღვრა შემდეგნაირად:

- ა) დირექტორებისთვის 1050 ლარის ოდენობით;
- ბ) პედაგოგებისთვის 1020 ლარის ოდენობით;
- გ) ტექნიკური პერსონალისთვის 675 ლარის ოდენობით;

2020 წლის IV კვარტალში დაფინანსდა 913 ბენეფიციარი. მათ შორის მასწავლებელი – 708, დირექტორი – 23, ტექნიკური პერსონალი – 182.

➤ 2020 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების მიზნით შექმნილმა კომისიამ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2009 წლის 19 მარტის №147 ბრძანების შესაბამისად, აღიარა 341 პირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლება (სრული – 305, საბაზო – 5, ცალკეული – 31).

➤ 2019-2020 სასწავლო წელს აფხაზეთის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობამ შეადგინა – 181 მოსწავლე. აკადემიური პროგრამებზე ჩაირიცხა – 94 მოსწავლე; პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხა – 2 მოსწავლე; 70% სახელმწიფო გრანტი მოიპოვა – 2 მოსწავლემ; 50% სახელმწიფო გრანტი – 14 მოსწავლემ;

➤ მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განსახილველად გაიგზავნა იმ პირების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც აკმაყოფილებენ „საქართველოს მოქალაქეებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20¹³ მუხლით გათვალისწინებული პირების, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს (სულ 385 პირი).

➤ მომზადდა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისა და დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 21 სექტემბრის №101/ნ ბრძანების შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განსახილველად გაიგზავნა იმ პირების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც ელექტრონულად დარეგისტრირდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის გამოყენებით (სულ 29 პირი).

➤ მომზადდა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიეწოდა **2017-2018, 2018-2019, 2019-2020** სასწავლო წლების აფხაზეთის საჯარო სკოლების შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია სპეციალური მასწავლებლისთვის ელექტრონულ სისტემაში (eschool) მასწავლებლის სტატუსის ასახვასთან დაკავშირებით.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის „სასკოლო კვების კვლევითი პროექტის“ შესახებ ინფორმაცია.

➤ მომზადდა და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიეწოდა ინფორმაცია სკოლებში არსებული ორადგილიანი მერხების რაოდენობასთან დაკავშირებით.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ შპს „ენგადის“ ინფორმაცია ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს მასშტაბით პირველკლასელებისათვის არაგაზირებული სასმელი წყლისა და გაკვეთილების ცხრილის საჩუქრად გადაცემის თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსის მქონე პირთა წინადადებების წარდგენის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების უნარების სიღრმისეული შეფასების კითხვარის თაობაზე ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ FLEX პროგრამის ფარგლებში ქართველი მოსწავლეების აშშ-ში სასწავლებლად გამგზავრების შესაძლებლობის შესახებ.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ გაეროს ბავშვთა ფონდისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული COVID19-ის ილუსტრირებული პოსტერების თაობაზე ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონი თამარ ჟვანიას წერილი წინასაარჩევნო პერიოდისა და უშუალოდ არჩევნების დღეს საჯარო სკოლებთან თანამშრომლობის მხარდაჭერისა და საინფორმაციო კამპანიის „ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერების ამაღლება“ განხორციელების ხელშეწყობის თაობაზე ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის მიერ პროექტის „დებატები უკეთესი განათლებისთვის“ განხორციელების თაობაზე ინფორმაცია.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ 2020-2021 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველ ტურში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის ვადის ცვლილების თაობაზე ინფორმაცია.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ მეფე ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით ორი სხვადასხვა კონკურსის შესახებ ინფორმაცია.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია გარე დაკვირვების გავლის მსურველ პირთათვის რეგისტრაციის გამოცხადების თაობაზე.
- სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში გადაეცა ნაშთის სახით არსებული სასკოლო სახელმძღვანელოები.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ პროექტის - „კლასგარეშე დისტანციური სწავლების დანერგვა“ განხორციელების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია 2020-2021 სასწავლო წლისათვის რეგისტრირებული პირველკლასელების დოკუმენტაციის წარდგენის ვადის გახანგრძლივების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდა ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის დადგენილებით იმ სკოლების დამატებით დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.
- აფხაზეთის N1,11,12,14,15 საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ჯეოლაბის მიერ გრაფიკული დიზაინის საბაზისო ონლაინ სასწავლო კურსის განხორციელების თაობაზე.
- აფხაზეთის N1,7,10,11,12,14,15, საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს რუხის ინოვაციების ცენტრის მიერ პროექტის „როგორ გავაკეთოთ სტარტაპი“ განხორციელების თაობაზე.
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა, აფხაზეთის საჯარო სკოლების მიერ მოწოდებული გაერთიანებული ინფორმაცია, ახალი რეგულაციების მიხედვით საკლასო ოთახებში ზედმეტი მერხების რაოდენობის თაობაზე.
- სკოლებს გაეგზავნათ "I-XI კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დამლევის გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 24 აგვისტოს N720491 ბრძანება.
- სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია 2020-2021 სასწავლო წლისათვის მომზადების პროცესში, სკოლების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით, შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
- სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს საჯარო

სკოლებისთვის სხვადასხვა სახის სადებიზინფექციო საშუალებების შესყიდვისა და გადაცემის თაობაზე.

➤ სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით, ათ რეგიონში, პროექტის „მეტი შეგვიძლია“ - ახალგაზრდების მონაწილეობის გაძლიერება აღმოსავლეთ ევროპაში“ - განხორციელების თაობაზე.

➤ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების იმ უფლებამოსილი პირების შესახებ, რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ შეძლეს მანდატურის სამსახურის მიერ დამტკიცებული ტრენინგ-მოდულის გავლა.

➤ სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 180-ე წლისთავსადმი მიძღვნილი კონკურსის თაობაზე.

➤ სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია მე-7 კლასის გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით.

➤ სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ ინიცირებული პროექტის „მრავალფეროვანი საქართველო“ განხორციელების თაობაზე.

➤ სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია ონლაინ გაკვეთილის შეფასების რუბრიკის თაობაზე.

➤ სკოლებს გაეგზავნათ ბრძანება "ონლაინ გაკვეთილის შეფასების რუბრიკის დამტკიცების შესახებ".

➤ სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით.

➤ სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს საჯარო სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ სახელმძღვანელოების გავრცელებასთან დაკავშირებით.

➤ სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) გავრცელების პრევენციის მიზით, სკოლის იმ თანამშრომლების, რომლებიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ ეპიდემიოლოგიურად საშიშ კერებში (მაგალითად: ბათუმში, ქობულეთში), ჩამოსვლიდან 14 დღის განმავლობაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არ დაშვებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამბოლატორიულ ცენტრებში COVID-19-ზე PCR დიაგნოსტიკის ჩატარების თაობაზე.

➤ სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საჯარო სკოლებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლების ონლაინ გამოკითხვის შესახებ.

➤ მომზადდა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს გაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული საშუალო სკოლებში დასაქმებულ პირთა შესახებ.

➤ სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის №111/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2020-2021 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველ ტურში მონაწილეობის მისაღებად მოსწავლეთა რეგისტრაციისა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების

ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადების თაობაზე.

➤ მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიეწოდა აფხაზეთის საჯარო სკოლებისათვის 2020-2021 სასწავლო წელს საკლასო ჟურნალების საჭირო რაოდენობის თაობაზე ინფორმაცია.

➤ მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლებისთვის უკონტაქტო დისტანციური თერმომეტრების, ხელის ანტიბაქტერიული სადეზინფექციო და სხვა საჭიროებების შესახებ ინფორმაცია.

➤ მომზადდა და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას მიეწოდა იმ კურსდამთავრებულთა შესახებ მონაცემები, რომლებმაც 2019-2020 სასწავლო წელს წარმატებით დაძლიეს საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონე.

➤ მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გადაიგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლებში ბუფეტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

➤ მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიეწოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით ინფორმაცია.

➤ მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გადაიგზავნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან სკოლებში მომუშავე სპეციალისტების შესახებ გამოთხოვილი ინფორმაცია.

➤ მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიწოდების მიზნით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აფხაზეთის საჯარო სკოლების პერსონალის მონაცემები.

➤ მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გადაიგზავნა ინფორმაცია იმ პრაქტიკოს მასწავლებლებზე, რომლებმაც 2019 და 2020 წლებში ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე პროფესიიდან გასვლა გადაწყვიტეს და მიიღეს კომპენსაციის სახით ერთჯერადი ფულადი ჯილდო.

➤ მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გადაიგზავნა ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების თაობაზე ინფორმაცია.

➤ მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გადაიგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლების შესახებ გარკვეული სახის მონაცემები (ინფრასტრუქტურა და სხვა).

➤ მომზადდა და და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა 2019-2020 სასწავლო წლის განმავლობაში

აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოების გადაცემის თობაზე ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ "2020-2021 სასწავლო წელს საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის ვადებისა და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ" 2020 წლის 21 თებერვლის N236 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 აპრილის N257 დადგენილება.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ „მწერალთა სახლის“ მიერ უფროსკლასელებისთვის ფანტასტიკის ჟანრის მოთხრობების კონკურსის გამოცხადების თაობაზე ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების (სსსმ) დისტანციურ სწავლებაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული სხვადასხვა სახალისო და განმავითარებელი აქტივობების შესახებ ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის „ციფრული წიგნიერება და დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების გამოწვევები ახალ ქართულ რეალობაში“ განხორციელების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროცესში დისტანციური სწავლების მოდელის გააქტიურებასთან დაკავშირებით, ახალი პლატფორმის - tvschool.ge- ს შესახებ.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მოთხოვნა გარკვეული სახის ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით კითხვარის შევსების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების (სსსმ) დისტანციურ სწავლებაში ჩართვის

ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული სხვადასხვა სახალისო და განმავითარებელი აქტივობების („შემოქმედებითი და განმავითარებელი აქტივობების” მეორე ნაწილი) შესახებ.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში დოკუმენტის განთავსების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია "კავკასიის უნივერსიტეტის" მიერ აბიტურიენტებისთვის განკუთვნილი ესეების კონკურსის "პირველი მასწავლებლის" შესახებ.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ „მწერალთა სახლის“ მიერ VI-IX კლასის მოსწავლეებისთვის კონკურსის „ბავშვები ურჩევენ ბავშვებს“ გამოცხადების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილება იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და „მედიააკადემიის“ მიერ, მოზარდებში მედიაწიგნიერების - კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების, ანალიზისა და ფაქტების გადამოწმების უნარების განვითარების მიზნით, კონკურსის, სახელწოდებით „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ გამოცხადების შესახებ ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული 476 ცალი სხვადასხვა სახის ნაბეჭდი პროდუქცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია სხვადასხვა გამომცემლობის მიერ შემოთავაზებული მე-8 კლასის სახელმძღვანელოების შესახებ.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია კომპანია „მაინდოვრქს“ ონლაინ საგნობრივი კონფერენციების გამართვის თაობაზე. საგნობრივი ვებინარები ტარდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და „მაიკროსოფტ საქართველოსთან“ თანამშრომლობით.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია პირბადეების ტარების წესების დარღვევასთან დაკავშირებით სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილები.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლების მეთორმეტე კლასელებს მიეწოდათ განკუთვნილი სიმ ბარათები.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ვადაგასული გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამოწერის წესის თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ COVID-19 პანდემიის პერიოდში სწავლა-სწავლების ფორმატის ცვლილების შედეგების (დისტანციური განათლების) კვლევის თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ დაწყებითი და საბაზო-საშუალო საფეხურების საგნობრივი გზამკვლევები.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია კონკურსის - "იზრუნე გარემოზე და გაიმარჯვე" შესახებ.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების სველი წერტილებისა და წყალმომარაგების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია 2020 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დადასტურების ტესტირებაზე რეგისტრაციის ვადების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის ჩატარების გადადებისთან დაკავშირებით.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია მასწავლებლებისთვის ყოველწლიური კონკურსის ჩატარების თაობაზე.
- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას მიეწოდა იმ პირთა სია, რომლებმაც საბაზო და/ან საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონე დაძლიეს ექსტერნატის ფორმით.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის "ახალი სკოლის მოდელი" ფარგლებში ჩართულ სკოლებში შიდა სასკოლო ფესტივალების, ლაშქრობების შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ "ზოგადი განათლების I-XII კლასის/კლასების/სემესტრების, ასევე I-XII კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლიების გამოცდის რეგისტრაციის დამატებითი ვადების დადგენის შესახებ" მინისტრის 2020 წლის 17 თებერვლის N209 ბრძანება.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 17 თებერვლის N209 ბრძანებით 2020 წლის 18 თებერვალი გამოცხადდა ზოგადი განათლების I-XII კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე IXII კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლიების გამოცდაზე დამატებითი რეგისტრაციის ვადის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია XII კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით გამოცდის შედეგების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ „2019-2020 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის განრიგისა და ჩატარების ადგილის განსაზღვრის თაობაზე“ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 13 თებერვლის N19/20 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შესახებ" სსიპ -

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 5 მარტის N33/20 ბრძანება.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 2 მარტის N28/წ ბრძანება „საჯარო სკოლებში სასწავლო წლის დასრულებისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის №84/წ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის N434 განკარგულებას „ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 დეკემბრის N2002 ბრძანებით დამტკიცებული "ზოგადი განათლების ხელშეწყობის" პროგრამის "სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსწავლეთა ბლოგების კონკურსის, სახელწოდებით "ჩვენი ენა ქართული" გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 24 თებერვლის N266 ბრძანება.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია პროექტის "ოსუ დესპანი-2020" შესახებ.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ "2020-2021 სასწავლო წელს საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის ვადებისა და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 21 თებერვლის N236 ბრძანება.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ საჯარო სკოლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია ორბელიანების სასახლეში სკოლის მოსწავლეებისათვის ექსკურსიებისა და კონკურსების ჩატარების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია პროექტის „დებატები უკეთესი განათლებისთვის“ შესახებ.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის, და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული გაიდლაინი სკოლებისათვის სახელმძღვანელოდ.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია „მომავლის ფერმერის" მიერ

გამოცხადებული კონკურსის „ჩემი ბოსტანი ჯობია შენსას“ განაცხადების მიღების ვადების ცვლილების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის წერილი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის „პიროვნული ზრდა და განვითარება“ შესახებ.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოში ბელარუსის რესპუბლიკის საელჩოს მიერ მე-7 საერთაშორისო საბავშვო კონკურსის „მეგობრობენ ბავშვები პლანეტაზე“ ჩატარების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის პროექტის „კინო სკოლაში“ ანხორციელების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლების მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროექტის "საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა" განხორციელების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლების მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის "თსუ დესპანი-2020" თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია პროექტის "ინგლისური მომავლისთვის" განხორციელების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს "საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამის" თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ "საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპის საგამოცდო პროგრამის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 თებერვლის N142 ბრძანება.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია სახალისო მეცნიერებათა მუზეუმის "ექსპერიმენტორიუმის" თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია "სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის ფარგლებში სასკოლო გუნდების ჩამოყალიბების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ სართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო-სასწავლო კურსის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ განხორციელების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის ინფორმაცია საერთაშორისო პროექტის "1+1 ერთობლივი ძალისხმევა დემოკრატიული კულტურისთვის" შესახებ.

➤ მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციაში გაიგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების მიმართულებით დასაქმებული კადრების შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის ინფორმაცია ორგანიზაცია "მაკ ჯორჯიას" მიერ რეგიონული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლების მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო კამპანიის ჩატარების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია სახელმძღვანელოების შინაარსობრივ რეცენზირებასთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაციის გავრცელების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია ა(ა) იპ „მომავლის ფერმერის" მიერ გამოცხადებულ კონკურსების გამოცხადების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ “2020-2021 სასწავლო წელს სექტორების და ცვლების შესაბამისად საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 იანვრის N115 ბრძანება.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ საქართველოს მთავრობის 2020 წლის N181 დადგენილება "საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" და 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილება "საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ".
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ „პერსონალურ მონაცემთა შესახებ" კანონი და ინფორმაციის დამუშავების შესახებ გაცემული რეკომენდაცია.
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლებში სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების შესახებ.
- „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამაში ჩართულ აფხაზეთის საჯარო სკოლების დირექტორებს გადაეგზავნათ ინფორმაცია იმ სატრანსპორტო საშუალებების დეზინფექციის /სანიტარული მდგომარეობის კონტროლის ვალდებულების თაობაზე, რომლებიც პროგრამაში ჩართულ მოსწავლეებს ემსახურებიან.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ World Vision საქართველოსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით შექმნილი “სკოლები პანდემიის დროს: პრაქტიკული გზამკვლევი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის“ რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, მოცემულია რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის.
- 2020-2021 სასწავლო წელს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეგულაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით სკოლებს გადაეგზავნათ „World Vision

საქართველოს“ ექსპერტთა გუნდის მიერ შექმნილი პრაქტიკული გზამკვლევი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, რომელიც აადვილებს ჯანდაცვის რეგულაციების მიხედვით საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტში „ახალი სკოლის მოდელი“ დამატებითი სკოლების ჩართვის თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ საჯარო და კერძო სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების ჩატარებასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაცია.

➤ მომზადდა და სამინისტროს წარედგინა გაერთიანებული ინფორმაცია 2020-2021 სასწავლო წლისთვის აფხაზეთის საჯარო სკოლებისთვის დამატებით საჭირო სახელმძღვანელოების თაობაზე.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ორგანიზაცია Save the Children International-ის ბავშვთა საკითხების კვლევის დიდი გამოცდილების მქონე, მსოფლიოში აღიარებული ექსპერტების მიერ შექმნილ ბროშურები.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ვებინარის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონული ჟურნალის მანდატურებთან დაკავშირებული მოდულების ფუნქციონალის გაცნობას.

➤ მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაეგზავნა პროექტის „ახალი სკოლის მოდელი“ კრიტერიუმების გათვალისწინებით შერჩეული აფხაზეთის საჯარო სკოლების შესახებ ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ ჭადრაკში საერთაშორისო სასკოლო მსოფლიო online ჩემპიონატის ჩატარების შესახებ.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია გაკვეთილის შეფასების რუბრიკების დამტკიცების თაობაზე და გადაეგზავნათ შესაბამისი ბრძანებები და შეფასების რუბრიკები.

➤ მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლებში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 138-ე, 139-ე, 140-ე, 141-ე, 255-ე, 255¹, 255² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ.

➤ სამედიცინო დაზღვევის მიზნით მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაეგზავნა ოკუპირებული გალის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებების შესახებ ინფორმაცია.

➤ აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია სსიპ- „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ დაფინანსებული პროექტის „ამომრჩეველთა ინფორმირება იმერეთის რეგიონში“ განხორციელების სამინისტროს მხრიდან მხარდაჭერის თაობაზე.

- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების მიმართულებით დასაქმებული სპეციალისტების შესახებ.
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაეგზავნა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით მიმდინარე საქართველოში არასრულწლოვნების მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების კვლევისა და მონიტორინგისთვის მოთხოვნილი ინფორმაცია.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია კერძო პირის, ბატონი დავით ნოზაძის ინიციატივის, კერძოდ, მოსწავლეებში ციფრული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ონლაინ რეჟიმში საქართველოში კოდორგის ჩემპიონატის „code.org“ ჩატარების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის „ახალი სკოლის მოდელი“ ფარგლებში ჩართული სკოლების ადმინისტრაციისათვის მომზადებული სარეკომენდაციო წერილი სასკოლო კურიკულუმზე მუშაობის პროცესთან დაკავშირებით.
- მომზადდა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაეგზავნათ ინფორმაცია უგამოცდოდ ჩარიცხულ სტუდენტთა შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ (ქალაქი თბილისი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი ზუგდიდი, ქალაქი ქუთაისი) ინფორმაცია, რომელთაც მოსწავლეებს უნდა შესთავაზონ როგორც დასწრებული, ასევე - დისტანციური სწავლება I-VI კლასებში.
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს წარედგენა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში არსებული ინფორმაცია იმ სტუდენტების შესახებ, რომლებმაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06 სექტემბრის N1125 და 2019 წლის 22 ოქტომბრის N1296 ბრძანებების შესაბამისად, 2019-2020 სასწავლო წლისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე მოიპოვეს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის უფლება.
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების დამწყები (პედაგოგად მუშაობის სტაჟი აქვს 0-2 წლის ჩათვლით) მასწავლებლების რაოდენობის შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია ონლაინ კლინიკის სერვისის დანერგვის შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია პროექტში „ახალი სკოლის მოდელი“ ჩართული სკოლების ადმინისტრაციისთვის, სასკოლო კურიკულუმზე მუშაობის პროცესთან დაკავშირებით, დაგეგმილ აქტივობებთან დაკავშირებით, მომზადებული სარეკომენდაციო წერილის შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია კონგრესის "სკოლის მართვა ციფრულ ეპოქაში" განხორციელების შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის გამოცხადებული ფოტო კონკურსის „ფოტომბები პანდემიის დროს“ შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და სამინისტროს ერთობლივი პროგრამის - საბაზისო განათლების პროგრამა (USAID Basic Education Program) - განხორციელების თაობაზე, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ყველა საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში წიგნიერების, მათემატიკის, პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია სკოლებში ონლაინ სივრცეში ძალადობის საწინააღმდეგო კვირეულის ორგანიზების თაობაზე, რომლის მიზანია ძალადობის (ბულინგი, ოჯახური ძალადობა, ნაადრევი ქორწინება და სხვა) პრევენცია და სკოლებში უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა; ბულინგის, უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით მოსწავლეების, მათი მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციის ცნობიერების ამაღლება.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია თბილისის 23-ე საჯარო სკოლის მიერ დაგეგმილ ონლაინ კონფერენციის „ფრანგული ენა - შესაძლებლობების პლატფორმა“ თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის სრულყოფის მიმართულებით განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე.
- მომზადდა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიეწოდა აფხაზეთის საჯარო სკოლების სახელმძღვანელოების საჭიროება.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია IT სპეციალისტების გადამზადების პროგრამის შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს რეგიონების ცენტრალური ქალაქებისა და თბილისის საჯარო და კერძო სკოლებში სპორტულ-შემეცნებითი თამაშების დებულებისა და განაცხადის შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ მარი სკლოდოვსკა-კიურის კონკურსში „ევროპელ მკვლევართა ღამე“ გამარჯვებული პროექტის „CATAIN: Science is the captain“ ფარგლებში სატელევიზიო გადაცემის - „დააბნე მეცნიერის“ შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია "მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია „სკოლის, საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობა საქართველოს პროგრამის ფარგლებში" საქართველოს

მასშტაბით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის ტრენინგის ჩატარების თაობაზე ონლაინ პლათფორმის გამოყენებით.

- მომზადდა და სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაეგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლების შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია სპორტულ-შემეცნებითი თამაშების შემადგენელი პროექტების "სპორტული ვიქტორინა" და "სპორტული თავსატეხის" კონკურსის და მათში დისტანციური (ონლაინ) ფორმატით მონაწილეობის წესების შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 03 დეკემბრის N1154352 ბრძანება "2020-2021 სასწავლო წელს ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 ნოემბრის N1132249 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან მიღებული რეკომენდაცია ზამთრის სეზონური ყინვების დროს საქვაბე მეურნეობის გაკონტროლების თაობაზე.

- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაეგზავნა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ლელო საქართველოსთვის" საზოგადოებრივ საქმეთა მდივნის, ქალბატონი ანა ნაცვლიშვილის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების შესახებ.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2021 - განათლება მდგრადი განვითარებისათვის " კონკურსის განხორციელების თაობაზე.

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ და 21-ე მუხლის 1¹ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტების, ასევე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 6 დეკემბრის №225 ბრძანების შესაბამისად, საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) ვებგვერდზე გამოსაქვეყნებლად გაეგზავნა აფხაზეთის (N1; N2; N3; N5; N6; N7; N10; N211; N12; N14; N15; N21; N22) საჯარო სკოლების 2020 წლის ანგარიშები.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია პროექტის „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შეფასების კვლევა კოვიდ 19-ის კონტექსტში“ ფარგლებში დაგეგმილი კვლევის ჩატარების თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსის მქონე პირთა შეფასებისა და წინადადებების წარდგენის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია 2020 წლის 18 იანვარს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია ოლიმპიადის - "ინფორმატიკის ოლიმპიადა ყველასათვის" შესახებ.
- მომზადდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს მიეწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია კომპაქტურ ჩასახლებებთან განთავსებული აფხაზეთის საჯარო სკოლებისა(N1, N2, N3, N14) და აღნიშნულ სკოლებში კომპაქტური ჩასახლებებიდან მოსწავლეთა რაოდენობის, ინტერნეტზე წვდომისა და შესაბამისი აღჭურვილობის ფლობის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვისა და ადაპტირების პროექტის განმეორებით განხორციელებასთან დაკავშირებით.
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაეგზავნა ინფორმაცია სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები მაქსიმალურად დაცვასთან დაკავშირებით საჯარო სკოლებისთვის საჭირო ხშირად გამოყენებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო სითხის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე.
- მომზადდა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ მგალობლიშვილს გადაეგზავნა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში არსებული ინფორმაცია იმ სტუდენტების შესახებ, რომლებმაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06 სექტემბრის N1125 და 2019 წლის 22 ოქტომბრის N1296 ბრძანებების შესაბამისად, 2019-2020 სასწავლო წლისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე მოიპოვეს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის უფლება.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) სწავლების მოდელების ასახვის ინსტრუქციები.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ სასკოლო საათობრივი ბადეების (ჰიბრიდული/ელექტრონული/ონლაინ ჯგუფი) ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების ინსტრუქციები.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია „სკოლის, პოლიციისა და საზოგადოების ჩართულობის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგის ჩატარების თაობაზე.

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია "მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოში პირველად საერთო ევროპული მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ჩატარების თაობაზე.
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლებში ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფებთან დაკავშირებით მონაცემები.
- მომზადდა და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების ზედაპირების დასამუშავებელი საშუალებების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია კონგრესის "სკოლის მართვა ციფრულ ეპოქაში" განხორციელების თაობაზე.
- მომზადდა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრს გაეგზავნა მოთხოვნილი ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების რვა წლამდე ასაკის მოსწავლეების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს გო-ს ეროვნული სპორტული ფედერაციის თხოვნა საჯარო სკოლებში ლოგიკური სამაგიდო თამაშის გო-ს ონლაინ სწავლების დანერგვის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია ონლაინ ფორმატში დაგეგმილი საერთაშორისო ოლიმპიადის ალ-ფარაბი-2021" ჩატარების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნა ა(ა)იპ „საქართველოს სპორტის, ფიტნესის და ფიზიკური განათლების ეროვნული ასოციაციის" მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისთვის დამხმარე სარეკომენდაციო მასალა.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია ა(ა)იპ „საქართველოს სპორტის, ფიტნესის და ფიზიკური განათლების ეროვნული ასოციაციის" ინიციატივა, დისტანციური ფორმით საგანმანათლებლო კონფერენციის ჩატარების შესახებ თემაზე „დისტანციური სწავლების ფორმები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში“.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია ელექტრონული ჟურნალის "სასკოლო სპორტის" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მიწოდების თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია "საქართველოს სკოლებში სოციალურ - ემოციური უნარების სწავლების დანერგვის ხელშეწყობა", განხორციელებასთან დაკავშირებით.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია ფიჭური სატელეფონო მომსახურების ვადის გაგრძელების შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გაეგზავნათ ინფორმაცია მასწავლებლობის მამდიებლობის პროგრამის აკადემიური და პედაგოგიური პრაქტიკის კურსების შეფასების შედეგების საპრეტენზიო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

დისტანციური სწავლება

კორონავირუსთან დაკავშირებით, 2020 წელს საგაზაფხულო არადადეგები 9 მარტის ნაცვლად 2 მარტს დაიწყო და 16 მარტის ჩათვლით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საგაზაფხულო არდადეგები გამოცხადდა. აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ მთავრობის განკარგულება კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ. აღნიშნულ პერიოდში აფხაზეთის ყველა საჯარო სკოლაში ჩატარდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდებული დამატებითი სადეზინფექციო სამუშაოები.

2020 წლის 11 მარტს კორონავირუსის პრევენციის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო დაწესებულებებში არდადეგები პირველ აპრილამდე გახანგრძლივდა. მიუხედავად გახანგრძლივებული არდადეგებისა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან გაიცა რეკომენდაცია დისტანციურად სწავლების განხორციელების თაობაზე.

პროცესში აქტიურად ჩაერთნენ აფხაზეთის საჯარო სკოლები. გადაეგზავნათ დისტანციური სწავლა-სწავლების პირველადი რეკომენდაციები. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, მოკვლევულ იქნა ყველა პედაგოგის, მოსწავლის ტექნიკური შესაძლებლობის, ინტერნეტთან წვდომის თაობაზე ინფორმაცია. აღნიშნული განახლებული ინფორმაცია eschool-ში ერთიან ელექტრონულ ბაზაში აისახა. ამავდროულად, კლასების მიხედვით შეიქმნა დახურული ონლაინ ჯგუფები, მესენჯერ-ჩათები, გათვალისწინებულ იქნა ყველა მოსწავლის შესაძლებლობები, დაინიშნა სატელეფონო კონცულტაციები.

დისტანციურად სწავლების განხორციელების მიზნით აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია სხვადასხვა რესურსის შესახებ :

✓ რეკომენდაცია Microsoft office 365-ის პროდუქტების საკომუნიკაციო არხად გამოყენების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ (EMIS) თითოეულ სკოლას უკვე დაუგზავნა სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მომხმარებლის პროფილები (user) და ერთჯერადი პაროლები, რომლის მეშვეობითაც შეეძლებათ Office 365-ის შემდეგ პროგრამებში ავტორიზებას (შესვლას): Email, Microsoft Teams, Class Notebook, PowerPoint, Forms, OneDrive და ა.შ.

✓ ქართული პლატფორმა _ „Feedc Edu“. სამინისტროსკოლებს როგორც ერთ-ერთ ალტერნატივას ონლაინ სწავლებისთვის სთავაზობს ქართულ პლატფორმას _ „Feedc Edu“-ს.

✓ მიეწოდათ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები. (გამომცემლობებმა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებზე უფასო წვდომა შესთავაზეს).

✓ პროექტი „ტელესკოლა“, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს პირველ არხთან თანამშრომლობით ახორციელებს. პროექტი ყველა მოსწავლეს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა წვდომა ინტერნეტთან, საშუალებას მისცემს, ნახოს საინტერესო გაკვეთილები

ყველა საგანში. პროექტი „ტელესკოლა“ საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხი - განათლება“ (ყოფილი მეორე არხი) ეთერით გადის. საეთერო ბადე (გაკვეთილების ცხრილი) ყველა კლასის საგანს მოიცავს. ეროვნული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ტელეგაკვეთილებს სხვადასხვა საგნის გამოცდილი პედაგოგები ატარებენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორიდან და მოსწავლეებს „ტელესკოლის“ ფორმატს მორგებულ სასწავლო პროგრამას სთავაზობენ. პროექტი აბიტურიენტის საათის ჩატარებასაც ითვალისწინებს, სადაც შესაბამისი დარგის სპეციალისტები აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის უწევენ კონსულტაციას.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ სკოლებს ონლაინ სწავლებისთვის შესთავაზა სხვადასხვა პლატფორმა, ტელესკოლის პროექტი, რჩება მოსწავლეთა ნაწილი, რომლებიც მძიმე ოჯახური პირობებისა და გაუმართავი ტექნიკური რესურსის, ინტერნეტის წვდომის არარსებობის გამო არ/ვერ ახერხებენ სრულყოფილად ჩართვას ზემოაღნიშნულ ონლაინ სწავლების პროცესში. არსებული ვითარებიდან გამომდინარე საგნის მასწავლებლები იყენებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დავალებების მიცემის, კონსულტირების გაწევის კომუნიკაციის ალტერნატიულ გზებს, მათ შორის სატელეფონო კომუნიკაციას. შეიძლება ითქვას, რომ არსებულ გამოწვევას აფხაზეთის საჯარო სკოლებმა სათანადოდ უპასუხეს.

გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

განსაზღვრული პრიორიტეტი:

ინსტიტუციური განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაცია და ქვეყნის ინტერესების მხარდაჭერა (პროგრამების ადმინისტრირება და მართვა)

პრიორიტეტის მიზანი:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროების ხელშეწყობა ოკუპირებულ გალის რაიონში ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების საქმეში; ქართული სულისკვეთების შენარჩუნება ოკუპირებულ ტერიტორიაზე; ხარისხიანი განათლების გავრცელება; ზრუნვა მშობლიური ქართული ენის უფლებების აღდგენაზე, ქართული და აფხაზური ენების განვითარებაზე, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენაზე.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

➤ ოკუპირებული გალის რაიონის სასწავლო, სკოლამდელი და სახელოვნებო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ მონაცემთა ბაზის შევსება-განახლება;

- გალის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბავშვო ბაღებისა და სახელოვნებო სკოლების მასწავლებელთა და ტექმუშაკთა დაფინანსების მიზნით მონაცემების წარდგენა ყოველკვარტალურად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროებში;
- თანამშრომლობა სოციალურ სააგენტოებთან მასწავლებელთა ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებით, პედაგოგთა რიგებში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით.
- კონსულტაციების გაწევა ოკუპირებული გალის რაიონის სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგებისა და ხელმძღვანელებისთვის მუშაობისა და თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით.
- ზრუნვა ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლეთა ხარისხიან განათლებაზე, ქართული სულისკვეთების შენარჩუნებაზე, ასევე, ზრუნვა ქართული და აფხაზური ენების განვითარებაზე, ქართველი და აფხაზი მასწავლებლების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებაში;
- ეროვნული გამოცდების ხელშეწყობა, აბიტურიენტებისადმი დახმარების გაწევა; ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული უფასო მოსამზადებელი ცენტრების მასწავლებლებისათვის კონსულტაციების ჩატარება;
- ოქროსა და ვერცხლის მედლების პროგრამის ხელშეწყობის მიზნით მზადება და მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებზე ინფორმაციების მოგროვება;
- ოკუპირებული ტერიტორიის წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება, მედალოსანთა დაჯილდოება;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარება განათლების აღიარების წესის შესაბამისად;
- ოკუპირებული გალის რაიონის მოსწავლე – ახალგაზრდობის ჩართვა კონკურსებში, პროექტებსა და ღონისძიებებში, ზრუნვა ინტელექტუალური დონის ამაღლებაზე.
- დაკვირვება ოკუპირებული გალის რაიონში მიმდინარე პროცესებზე, მასწავლებელთა და მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, ზემდგომი ორგანოების ინფორმირება.

მიღწეული შედეგი:

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში ფუნქციონირებს 30 სრული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 9 სკოლამდელი დაწესებულება, 5 სახელოვნებო სკოლა. 2020-2021 სასწავლო წლის დეკემბრის მდგომარეობით:

✓ სკოლებში ირიცხება 3828 მოსწავლე, დასაქმებულია 960 მასწავლებელი და ტექნიკური პერსონალი. მათ შორის: მასწავლებელი – 771, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი – 189. აქედან, 28 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში – 731 პედაგოგი, 182 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, ხოლო 2 საჯარო სკოლაში (აფხაზეთის N13 და N16 ნაბაკევსა და მეორე ორტობაიაში) – 40 პედაგოგი, 7 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

✓ 9 საბავშვო ბაღში, სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში დასაქმებულია **181 ბენეფიციარი**. მათ შორის 89 პედაგოგი, 92 ტექნიკური პერსონალი; აღსაზრდელთა რაოდენობა საბავშვო ბაღებში არის 557; სახელოვნებო სკოლებში 300-მდე.

ფინანსური მხარდაჭერა

➤ საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის „ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამის შესაბამისად, ფინანსური დახმარება გაეწია 708 მასწავლებლის, 23 დირექტორს, 182 ტექნიკურ პერსონალს. მეორე ოტობაიასა და ნაბაკევში მოქმედი საჯარო სტატუსის მქონე აფხაზეთის #16 და #13 საჯარო სკოლების 40 მასწავლებელი და 7 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი დაფინანსდა ყოველთვიურად, საქართველოში მოქმედი ვაუჩერული სისტემის შესაბამისად.

➤ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის „გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის“ შესაბამისად, გალის სახელოვნებო სკოლებისა და 8 საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლებს და ტექნიკურ პერსონალს გალის რესურსცენტრის მიერ დამუშავებული და სამინისტროსათვის მიწოდებული მონაცემების საფუძველზე, საქართველოს ბანკის ზუგდიდის ფილიალში გახსნილ პირად საბანკო ანგარიშებზე ჩაერიცხა კვარტალური დახმარება (450 ლარი მასწავლებელს, 300 ლარი ტექპერსონალს). დახმარება, ყოველთვიური დახმარება გაეწიათ ენგურჰესის ტერიტორიაზე, საბერიოს დასახლება „ჩელაში“ ფუნქციონირებადი საბავშვო ბაღის პედაგოგებს და ტექნიკურ პერსონალს. სულ, საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია **9 საბავშვო ბაღისა და 5 სახელოვნებო სკოლის 181 ბენეფიციარს**.

მოსწავლე ახალგაზრდობის ხელშეწყობა:

➤ 2020 წელს გალის რესურსცენტრმა ხელი შეუწყო გალელი აბიტურიენტების დარეგისტრირების, ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობისა და „სკოლისშემდგომი განათლების პროგრამაში“ მომზადების პროცესს. სულ, საანგარიშო პერიოდში, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის წესის შესაბამისად, **სტუდენტი გახდა 385** სკოლადაამთავრებული.

➤ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 21 სექტემბრის N101 /5 ბრძანების „საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვისა და დაფინანსების წესის“ თანახმად, ხელი შევუწყვეთ ბაკალავრების დარეგისტრირებას აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით. ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელი საზღვრებიდან **დარეგისტრირებული 28** პირიდან **25** სამაგისტროს სტუდენტი გახდა.

➤ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების აღიარების კომისიის სხდომებზე გალის რესურსცენტრმა „განათლების აღიარების წესის“ თანახმად,

წარადგინა ოკუპირებული ტერიტორიის სკოლებიდან დისტანციურად მიღებული განათლების აღიარებისათვის საჭირო რიგი დოკუმენტები. სხვადასხვა სხდომაზე **აღიარებულ იქნა სულ 298 კურსდამთავრებულის მიერ მიღებული განათლება.** აღიარების შემდგომ კურსდამთავრებულებს მიეცათ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის-ატესტატის მიღების შესაძლებლობა იუსტიციის სახლიდან.

➤ ზემდგომის დავალებით, გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა აპრილის თვეში მოიკვლია ენგურს აქეთ, მშობლების დახმარების გარეშე დარჩენილი გაჭირვებული სტუდენტების საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები, პირადი მონაცემები, რის შემდეგაც **242 სტუდენტს** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, გაეწია ფულადი დახმარება (საქართველოს განათლების სამინისტრომ 150 ლარი უნივერსიტეტების მეშვეობით ჩაურიცხა თითოეულს), გადაეცა საკვები პროდუქტები. სოციალურად დაუცვლელის ოფიციალური სტატუსის მქონე 31 ახალგაზრდას, აფხაზეთის ა/რ მთავრობამ პირად ანგარიშზე გადაურიცხა 150 ლარი, ზუგდიდში მყოფ 20 სტუდენტს გადასცა საკვები პროდუქტები.

➤ გალის რესურსცენტრმა აფხაზეთის ა/რ მთავრობის დავალებით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ოკუპირებულ ტერიტორიაზე საზაფხულო არდადეგების პერიოდში გადასული სტუდენტების, საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლებთან ერთად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანასთან დაკავშირებით. დადგინდა თითოეულის ადგილსამყოფელი (ქალაქი/სოფელი), საკონტაქტო ტელეფონი. ხელისუფლების დახმარებით, ორგანიზებულად, კონტროლირებად ტერიტორიაზე **651 სტუდენტიდან** გადმოყვანილ იქნა **576.**

➤ ოკუპირებულ ტერიტორიაზე პირადი მიზეზით **დარჩა მხოლოდ 75 სტუდენტი.** ერთობლივი ძალისხმევით გადმოვიყვანეთ აგრეთვე საჯარო სკოლების და სკოლამდელი ასაკის 112 ბავშვი მშობლებთან ერთად. აფხაზეთის ა/რ დევნილთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიულ ორგანოსთან (უფროსი კ. ბასარია) თანამშრომლობით ანაკლიის, წყალტუბოს, განმუხურის, ბათუმის სხვადასხვა საკარანტინო სივრციდან განხორციელდა თითოეულის ტრანსპორტირება ზუგდიდისა და თბილისის მიმართულებით უმაღლეს სასწავლებლებში მათი დროულად გამოცხადებისა და ხელშეწყობის მიზნით.

➤ 2019-2020 სასწავლო წლის 8 წარჩინებული კურსდამთავრებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, წარდგენილ იქნა ოქროსა და ვერცხლის მედლებზე (2 ოქრო, 6-ვერცხლი).

➤ გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლებიდან წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, მაღალი აკადემიური მოსწრების 2019-2020 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის 6 კურსდამთავრებული წარდგენილ იქნა კომპიუტერებზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „**ჩემი პირველი კომპიუტერის**“ ფარგლებში.

➤ ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, **343 პირველკლასელისა და 32 დამრიგებლისთვის** რესურსცენტრმა მიიღო ნეთბუკები „**ჩემი პირველი კომპიუტერის**“ ფარგლებში და პირველი კლასის

გრიფირებული სახელმძღვანელოები ქართულში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში. რესურსცენტრმა, გალის სკოლებისათვის მიიღო აგრეთვე საკანცელარიო ნივთები აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროდან; სოლიდარობისა და ინტეგრაციის ესპანური საერთაშორისო ორგანიზაცია „ფინსოლისგან“ – 10 ცალი ნოუთბუკი ფიჩორისა და გაგიდის საშუალო სკოლებისათვის (5-5 ცალი). (მიმოსვლის შეზღუდვის გამო, დასახელებული ნივთები ჯერჯერობით არ არის გადაცემული. გზის გახსნისთანავე ისინი გადაეცემა თითოეულ ადრესატს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე).

➤ ზაფხულის არდადეგების პერიოდში, ოკუპირებული ტერიტორიის სკოლების მაღალი საფეხურის 8 მოსწავლე ჩართულ იქნა რუხის ინოვაციების ცენტრში კომპიუტერული პროგრამების (ფოტოშოპი, 3D მოდელირება და სხვა) შესწავლის საქმეში.

დისტანციური სწავლების ხელშეწყობა:

სასწავლო პროცესის ჩაშლამ გალის რაიონში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, დღის წესრიგში დააყენა მოსწავლეებთან დისტანციური მეცადინეობის საკითხი. პედაგოგებმა, ვისაც წვდომა აქვს ინტერნეტთან და კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან, მიიღეს გამოწვევა და შეუდგნენ მეცადინეობას ზუმის და მესენჯერის, მობილური ტელეფონების გამოყენებით. რესურსების დასადგენად, აპრილში ჩატარდა მნიშვნელოვანი მოკვლევა როგორც მოსწავლეებში, ასევე მასწავლებლებში. დადგინდა, რომ:

➤ გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში ფუნქციონირებად 30 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 3864 მოსწავლიდან კომპიუტერული ტექნოლოგიები და ინტერნეტთან წვდომა ჰქონდა მხოლოდ 1648 მოსწავლეს. ინტერნეტის გარეშე რჩებოდა – 2216 მოსწავლე. ინტერნეტთან წვდომის მქონე 1648 მოსწავლიდან გაკვეთილები დისტანციურად ჩაუტარდა მხოლოდ 873-ს, რადგან დანარჩენი 775 მოსწავლის უმუშევარ და ეკონომიურად ღარიბ მშობლებს არა ჰქონდათ თანხის გადახდის და ინტერნეტპაკეტის ხშირად შეძენის საშუალება (შეძენილი პაკეტები მალე ეწურებოდათ) .

➤ სკოლებში დასაქმებული 756 პედაგოგიდან ინტერნეტთან წვდომა ჰქონდა მხოლოდ 535-ს. Wi Fi ჰქონდა 268-ს. ლეპტოპით მუშაობდა 128, სმარტფონით – 325, სამაგიდო კომპიუტერით – 55, პლანშეტით – 27. ინტერნეტთან წვდომის საშუალება არ ჰქონდა 221 პედაგოგს.

➤ სკოლების დირექტორებმა და პედაგოგებმა, მშობლების დახმარებით უზრუნველყვეს მოსწავლეების დასწრება პირველი არხის ტელეგაკვეთილებზე, თუმცა გაირკვა ისიც, რომ ზოგიერთ სოფელში ამ არხს ვერ უყურებდნენ.

უწყვეტი ულიმიტო ინტერნეტის და ტექნიკური საშუალებების უქონლობამ, არასათანადო პირობებმა გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლებს არ მისცა საშუალება, სრულად ჩართულიყვნენ საქართველოს საჯარო სკოლებისათვის შექმნილ სპეციალურ საგანმანათლებლო პლატფორმაში და განეხორციელებინათ სწავლება,

ასევე, სრულფასოვნად ვერ შეძლეს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პროექტში – „კლასგარეშე დისტანციური სწავლება“ – ჩართვა. გალელმა პედაგოგებმა, მშობლების დახმარებით, გამოიჩინეს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და საგანგებო ვითარებაში, მიუხედავად არადამაკმაყოფილებელი და რთული პირობებისა, დისტანციურად შეძლეს გაკვეთილების ჩატარება. ინტერნეტისა და კომპიუტერის არმქონე მოსწავლეთათვის დაგეგმეს და დისტანციის სრული დაცვით ეცადნენ პროგრამული მასალის გადაცემას, ჩამორჩენის დაძლევას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის №111/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის“ 26-ე მუხლის მე-8 პუნქტის და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მიღებული ინსტრუქციის/ბრძანებების თანახმად, **16-20 ნოემბერს** გალის რაიონის სხვადასხვა სკოლის მაღალი საფეხურის **59 მოსწავლემ** დისტანციურად, ონლაინ/ელექტრონულ რეჟიმში მიიღო მონაწილეობა ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადაში (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენები, მათემატიკა, ისტორია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია).

პედაგოგთა პროფესიული დონის ამაღლება, ტრენინგები

- ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი ცენტრების **45 მასწავლებელს** ჩაუტარდა კონსულტაციები ერთიან ეროვნულ გამოცდებთან და აბიტურიენტების მომზადებასთან დაკავშირებით, პედაგოგებს გადაეცა სანიმუშო საგამოცდო ტესტები, საინფორმაციო ცნობარი.
- დეკემბრის თვეში 30-ვე სკოლის პედაგოგებს ჩაუტარდა ტრენინგები ზუმის აპლიკაციით გაკვეთილების ჩატარებისა და საგანმანათლებლო აქტივობების გამოყენების მიმართულებით.
- ნაბაკევსა და მეორე ოტობაიაში ფუნქციონირებადი აფხაზეთის N13 და N165 საჯარო სკოლების დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის მასწავლებლებს ჩაუტარდათ საგნობრივი ტრენინგები.
- ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების პედაგოგები რესურსცენტრის მიერ მონაცემთა ბაზაში შეტანილი ყოველკვარტალური კორექტირების შედეგად ჩართულები არიან **ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში**. საანგარიშო პერიოდში დაზღვეულია **744** მასწავლებელი.
- საანგარიშო პერიოდში, რესურსცენტრმა ხელი შეუწყო სახელმწიფო აუდიტს, დისტანციურად გასაუბრებოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი საბავშვო ბაღებისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებს და ტექნიკურ პერსონალს. საუბარში ხაზი გაესვა კვარტალური დახმარების თანხის გაზრდის, ტექნიკური საშუალებებით, მეთოდური ლიტერატურითა და საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფის საკითხს.

რესურსცენტრის თითოეული თანამშრომელი მუშაობას წარმართავს რესურსცენტრის ტიპური დებულების შესაბამისად, გუნდური მუშაობის პრინციპით ოკუპირებული

გალის რაიონის სასწავლო - საგანმანათლებლო, სახელოვნებო დაწესებულებების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საკეთილდღეოდ და ხელს უწყობს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტრატეგიით გათვალისწინებული საკითხების განხორციელებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა საანგარიშო პერიოდში, გარდა ზემოთ აღნიშნული საკითხებისა, შეასრულა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული 25 მუხლიანი წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხები, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. დაწესებულია მკაცრი კონტროლი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების მიზნობრივ ხარჯვაზე.

ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

2020 წლის განმავლობაში ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილებისა და წლიური სამუშაო გეგმის ფარგლებში, განახორციელა შემდეგი საკითხები:

ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი აჟარის მუნიციპალიტეტთან ერთად ყოველწლიურად ატარებს კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ ღონისძიებებს კოდორელი მოსწავლეების მონაწილეობით, ასევე უზრუნველყოფს კოდორელი ბავშვების ჩართულობას იმ ღონისძიებებში, რომლებიც ტარდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ.

2020 წლის 8 თებერვალს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა „ეტალონი _ 2020-ის“ შესარჩევი ტური, მონაწილეობდა 9-11 კლასის 18 მოსწავლე, ზღვარი გადალახა 10-მა მოსწავლემ.

15 თებერვალს ჩატარდა ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი 2020-ის“ შესარჩევი ტური, ზემო აფხაზეთის ეტალონი მოსწავლის გამოსავლენად. გამარჯვებული გახდა ანა არღვლიანი.

ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი აჟარის მუნიციპალიტეტთან ერთად, ყოველწლიურად ატარებებს ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტს „ერუდიტი“. ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო ზემოაღნიშნული პროექტი გადაიდო. პანდემიის გამო, ასევე, გადაიდო შემდეგი ღონისძიებები:

- დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- „ეტალონი 2020-ის“ დასკვნითი ნაწილი;
- კოდორის ხეობიდან დევნილი ბავშვების ორდღიანი ლაშქრობა ლაგოდეხის ნაკრძალში;
- ზემო აფხაზეთის ქორეოგრაფიული ანსამბლისა და გიორგი უშიკიშვილის ფოლკლორის სკოლის მოსწავლეთა ერთობლივი კონცერტი.

2020 წელს კოდორის ხეობიდან დევნილმა ოცდააექვსმა მოსწავლემ დაამთავრა საშუალო სკოლა, მათგან თექვსმეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, თოთხმეტი მათგანი გახდა სტუდენტი, დაფინანსდა სახელმწიფო გრანტით.

2020-21 სასწავლო წლისთვის საქართველოს (სხვადასხვა კუთხის) სკოლებში კოდორის ხეობიდან დევნილი 71 მოსწავლე პირველ კლასში ჩაირიცხა, მათთვის აჟრის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტმა შეიძინა სასკოლო ჩანთები.

ხელოვნების და მიმდინარე ღონისძიებების სამსახურის

კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა (06 07)

პრიორიტეტის დასახელება:

ქართულ-აფხაზური კულტურის, ერთიანი ისტორიული წარსულის და კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა, აფხაზეთიდან დევნილი ხელოვანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა და მათი მიღწევების პოპულარიზაცია, ასევე კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების დაგეგმარება და ორგანიზება; კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.

პროგრამის მიზანი:

- ქართულ-აფხაზური კულტურის, როგორც ერთიანი ქართული კულტურის ორგანული ნაწილის წარმოჩენა და პოპულარიზაცია;
- უნიკალური, ავთენტური, კონკურენტუნარიანი კულტურული ღონისძიებების დაგეგმარება და ორგანიზება;
- აფხაზეთის კულტურის პოტენციალის წარმოჩენა, ცნობადობის ამაღლება და კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება;
- აფხაზეთის შემოქმედებითი კოლექტივებისა და ხელოვანების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ხელოვნების სფეროში თავისუფალი, დაცული და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება.

„კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა“ (კოდი 0607)

„ეპოქა ქალის“ (ქ/კ 060715)

პროგრამის დასაბუთება:

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებიდან უკვე 27 წელი გავიდა. პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა

კულტურული დიალოგი და სახალხო დიპლომატიკა. სწორედ ამ პრობლემებზე იქნა გამახვილებული ყურადღება პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაცაა „ეპოქა ქალის“, სადაც გაიმართა პრეზენტაცია წიგნისა „ვეფხი და მოყმის ბალადა“, თარგმნილი მსოფლიოს 17 ენაზე.

პროგრამის მიზანი:

მწერლებისა და ხელოვანი ადამიანების დაახლოება, მომავალი ლიტერატურული ურთიერთობების განმტკიცება. ქართული კულტურის პოპულარიზაცია. აფხაზეთიდან დევნილი ხელოვანი და ღვაწლმოსილი ქალბატონების დაფასება, პატივის მიგება.

შედეგი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, საქართველოს მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, ქ. თბილისის მერიამ და საქართველოს მწერალთა კავშირმა ერთობლივად 2020 წლის 28 სექტემბერს, ივანე მაჩაბელის №13, საქართველოს მწერალთა სახლის ეზოში, პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის – „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ – ფარგლებში, გამართა საღამო – „ეპოქა ქალის“ და მოაწყო „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ – მსოფლიოს 17 ენაზე თარგმნილი წიგნის (არაბული, ბერძნული, ესპანური, თურქული, იაპონური, ინდური, ინგლისური, იტალიური, რუსული, სპარსული, უკრაინული, ფრანგული, აზერბაიჯანული, გერმანული, სომხური, ებრაული და ჩინური) პრეზენტაცია. წიგნის ილუსტრაცია შექმნა მხატვარმა ნუგზარ მაგლობლიშვილმა, რომელსაც საგანგებო ჯილდო გადაეცა. თარგმანების მიზანია მსოფლიოს გააცნოს პოემის მთავარი გმირი ვაჟკაცის გამზრდელი დედა, როგორც ტოლერანტობის, სულგრძელობის, ქართველი ქალის გაუტყეხელი ბუნების სიმბოლო. წიგნი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, ხელოვნებისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახურის ორგანიზებით გამოიცა.

საღამო რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა, კერძოდ, პრემიებით და დიპლომებით დაჯილდოვდნენ წლის იუბილარი შემოქმედნი. საქართველოს მწერალთა კავშირის დიპლომი – „საქართველოს კულტურის ამგდარი“ აფხაზეთიდან დევნილ 12 ხელოვან ქალბატონს გადაეცა. საღამოს უძღვებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 10 000 ლარი

ხარჯი: 8 489 ლარი

ახალგაზრდა მწერალთა კონკურსი (ქ/კ 06 07 16)

პროგრამის დასაბუთება:

ახალგაზრდა თაობამ მხოლოდ გადმოცემით იცის აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შესახებ. ეს ის თაობაა, რომელმაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პრობლემის გადაჭრაში, რისი საუკეთესო გზაც სწორედ კალამია. კონკურსი ერთგვარი მოტივაციაა ახალგაზრდა მწერალთათვის. საგულისხმოა, ეს ჯილდო არ აღიქმება როგორც, მხოლოდ, მატერიალური მხარდაჭერა, არამედ ის გულისხმობს ახალგაზრდების დამოკიდებულებას ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისადმი, მათ სამშვიდობო როლს პრობლემის მოგვარების საკითხში.

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტებისა და მწერლების აღმოჩენა და მათი შემოქმედების პოპულარიზაცია. ახალგაზრდა მწერლების დაახლოება და მშვიდობის გზავნილი ოკუპირებული აფხაზეთის ახალგაზრდობასთან.

შედეგი:

30 სექტემბერს, დაბა წყნეთში, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლის ეზოში გაიმართა ახალგაზრდა მწერალთა კონკურსის „სიყვარულს უშენებია“ გამარჯვებულთა დაჯილდოება.

კონკურსის პირობის თანახმად, მასში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა პოეტებმა (16-დან 35 წლამდე), რომლებმაც წარმოადგინეს სამ-სამი პოეტური ნაწარმოები მშვიდობის, სიყვარულისა და პატრიოტიზმის თემებზე.

კონკურსი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მწერალთა კავშირის თანამშრომლობით წლეულს პირველად ჩატარდა.

კომპეტენტურმა ჟიურიმ კონკურსის დასრულების შემდგომ შეარჩია საუკეთესო ნაწარმოებები და გამოავლინა 7 საუკეთესო ავტორი, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიით და დიპლომით, ხოლო დანარჩენ ავტორთა ნაწარმოებები შევა კატალოგში, რომელიც გამოიცემა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელოვნებისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახურის ორგანიზებით და დაურიგდებათ მონაწილეებს. დასკვნითი ღონისძიება გაიმართა დაბა წყნეთში ჰ. გონაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლაში (#29). ღონისძიებაზე ჰ. გონაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა, საკუთარი შემოქმედება წარმოადგინეს. სადამოს ესწრებოდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები, აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოება.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 7 000 ლარი

ხარჯი: 6 199 ლარი

„გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია“ (ქ/კ 06 07 07)

პროგრამის დასაბუთება:

პრემია ენიჭება ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის დარგში შექმნილ ნაწარმოებებს, რომლებმაც მხატვრული, პუბლიცისტური და სხვა ღირებულებების გამო, საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვეს, გამსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის მაღალი იდეალებით და წარმოადგენს შენაძენს ქართული და აფხაზური ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის დარგში.

პირი, რომელიც პრემიას მოიპოვებ, მიენიჭება წოდება „გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი“ – და გადაეცათ პრემიის ლაურეატის დიპლომი და ფულადი ჯილდო 3000 ლარის ოდენობით.

მიღწეული შედეგები:

კენჭისყრაზე წარმოდგენილი 9 კონკურსანტიდან, დებულებით გათვალისწინებული ყველა პროცედურების დაცვით, გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ:

- სსი
პ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სპექტაკლი „მთვარის მოტაცება“;
- ხუ
ტა კვარაცხელია – ფერწერული ნამუშევრები;
- ირა
კლი შამათავა – მოთხრობების კრებული „გამშვები პუნქტი“;
- შო
თა ზოიძე – ლექსების კრებული „გულზე დასაყრელი მიწა“.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 16 000 ლარი

ხარჯი: 15 000 ლარი

„ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია“ (ქ/კ 06 07 10)

პროგრამის დასაბუთება:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოსა და საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე აფხაზეთის კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების წარდგენას, როგორც ერთიანი ქართული კულტურის ნაწილისა. აფხაზეთის მდიდარი ფოლკლორული ნიმუშების წარმოჩენას და აფხაზეთიდან დევნილი ხელოვანების ფინანსურ მხარდაჭერას – მათი კონკურსებში, ფესტივალებში, კულტურის დღეებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

პროგრამის აღწერა:

➤ წლის ბოლოსთვის, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაგეგმილი იყო ლელა შარაბიძის პერსონალური გამოფენის მოწყობა სახელწოდებით „ლაჟვარდისფერი აფხაზეთი“, თუმცა სამწუხაროდ, პანდემიის შედეგად ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარებისა და წერტილოვანი შეზღუდვების ფონზე, ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა გამოფენის მოწყობა. ხელოვანის განმარტებით, როგორც კი შესაძლებელი გახდება მსგავსი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, იგი მზადაა დაუყონებლივ მოაწყოს გამოფენა, რაც ხელს შეუწყობს როგორც ქართულ-აფხაზეთური კულტურის, ასევე თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნებისა და აფხაზეთიდან დევნილი მხატვრის პოპულარიზაციას.

➤ სალომე კაპანაძის საბავშვო წიგნის „დეღფინ ფანის ამბების“ ძირითად მიზანს კულტურის ენაზე დიალოგი, მშვიდობა და თანხმობა წარმოადგენს, რომელიც გამოიცა ქართულ და აფხაზეთურ ენებზე. წიგნის აუდიო-ვიდეო ვერსიის ქართულ და აფხაზეთურ ენაზე შექმნას აქვს მხატვრულ-შემეცნებითი ფუნქცია და იგი განკუთვნილია 8 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის. მასში მოთხრობილია ამბები აფხაზეთის კოლორიტული ადგილების, სოხუმელების მშვიდობიანი თანაცხოვრების, სიყვარულისა და მეგობრობის შესახებ. მას შეუძლია შეასრულოს სამშვიდობო გზავნილის ფუნქცია აფხაზი და ქართველი ბავშვებისათვის.

შედეგი:

➤ შეძენილი იქნა მხატვრის ნამუშევრებისათვის 50 ცალი პასპარტუ მინით. რაც შესაძლებლობას მისცემს ხელოვანს მოაწყოს პერსონალური გამოფენა სახელწოდებით „ლაჟვარდისფერი აფხაზეთი“.

➤ ამ ეტაპზე დასრულებულია პროექტის „დეღფინ ფანის ამბები“ სადადგმო ჯგუფის დაკონპლექტება და მიღწეულია შეთანხმება, რომ ნაწარმოების აუდიო და ვიდეო ვერსიის შექმნა განხორციელდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის „საქართველოს რადიოს“ (FM102.3) ბაზაზე. ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, პროექტის დასრულება შესაძლებელია მხოლოდ 2021 წლის თებერვალში.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 103 000 ლარი

ხარჯი: 2 758,75 ლარი

„საღამოები“ (ქ/კ 06 07 05)

აკაკი გასვიანის შემოქმედებითი საღამო

პროგრამის დასაბუთება:

მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და ღვაწლმოსილი ადამიანის დაფასება და პატივის მიგება.

პროგრამის აღწერა:

მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და ღვაწლმოსილი ადამიანის დაფასება და პატივის მიგება არათუ მნიშვნელოვანია, არამედ აუცილებელიცაა. ამგვარ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება აკაკი გასვიანი, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნარკვევი, პუბლიკაცია, ნოველა, მოთხრობა და ლექსი.

შედეგი:

➤ მომზადდა აკაკი გასვიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ტელე სიუჟეტი, რაც საშუალებას მოგვცემს ფართო საზოგადოების წინაშე წარმოვაჩინოთ მის მიერ განვლილი საზოგადოებრივ-შემოქმედებითი საქმიანობა. ასევე იუბილარისთვის შეძენილ იქნა საჩუქრად სმარტ ტელევიზორი. ეპიდემიური სიტუაციის გაუმჯობესების შემდგომ მოხდება აკაკი გასვიანის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ტელე სიუჟეტის პრეზენტაცია.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2 000 ლარი.

ხარჯი: 1 999,99 ლარი.

კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური

აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა (06 10)

პრიორიტეტის დასახელება: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

პროგრამის დასაბუთება:

ვაცნობიერებთ რა, საქართველოს განუყოფელი ნაწილის, აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების მნიშვნელობას, რომელსაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა შექმნაში, და რომ, კულტურული მემკვიდრეობა უმნიშვნელოვანესია საერთო იდენტობის ფორმირებაში, ხელს უწყობს სოციალურ და ტერიტორიულ ერთიანობას, აქვს ეკონომიკური ღირებულება – აუცილებლად მიგვაჩნია, შესაძლებლობების ფარგლებში, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვნად შესწავლა, შენარჩუნება და გადაცემა მომავალი თაობებისათვის. როგორც ცნობილია, ოკუპანტების მხრიდან მატერიალურ-კულტურულ მემკვიდრეობაზე აფხაზეთში განხორციელებული მრავალი ვანდალური

აქტის შედეგად ეს ფასეულობები კარგავენ თავის ავთენტურობასა და უნიკალურობას. საფრთხის წინაშეა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელიც ამ ტერიტორიაზეა შემორჩენილი, რაც თავისთავად უაღრესად უარყოფითი ფაქტია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ აფხაზეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა და მათი პოპულარიზაცია თავისი საქმიანობის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად აქცია და შექმნა „აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა.“

„კულტურული მემკვიდრეობა ვიკიპედიაში“

პროგრამის დასაბუთება:

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ინტერნეტ ქსელებში აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაცია შედარებით მწირია და არასრულყოფილი. სხვადასხვა მტრულად განწყობილი საიტები, ცდილობენ აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ისტორიისა და ფაქტების გაყალბებას. ამ ფონზე მეტად მნიშვნელოვანია ისეთ საერთაშორისო ელექტრონულ ენციკლოპედიაში, როგორც არის „ვიკიპედია“ ჩვენი მხრიდან ობიექტური ინფორმაციის განთავსება.

ქვეპროგრამის მიზანია, ინტერნეტ სივრცეში ყველაზე გავრცელებულ ენციკლოპედიაში, ქართულ და აფხაზურ ენებზე, აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ობიექტური ინფორმაციის გავრცელება, როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის, ისე საერთაშორისო საზოგადოებისათვის.

აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ცნობადობის ამაღლება.

შედეგი:

ქვეპროგრამის შედეგად ჩვენი სამსახურის თაოსნობით და სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობით მომზადდა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების აღწერილობა, რომელიც ითარგმნა აფხაზურ ენაზე. პარტნიორი ორგანიზაცია – საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს ვიკიპედიაში ამ ტექსტების ატვირთვას ქართულ და აფხაზურ ენებზე.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2500 ლარი.

ხარჯი: 2500 ლარი.

ბუკლეტი „კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში“

პროგრამის დასაბუთება:

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთში ქართული კულტურული ფასეულობების მხრივ არსებული ვითარების წარმოჩენასა და არქიტექტურული ძეგლების მძიმე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საზღვარგარეთ გავრცელებას. ქვეპროგრამის განხორცილება ხელს შეუწყობს აფხაზეთის კულტურულ-მატერიალური მემკვიდრეობის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, უცხოეთის დელეგაციებში თემის აქტუალიზაციას, ამ საკითხისადმი დაინტერესების გაზრდას.

პროგრამის მიზანი:

პროგრამა ხელს შეუწყობს აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი კულტურული და უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობის მრავალფეროვნების გაცნობიერებას და მისი როგორც საერთო იდენტობის ნაწილის გააზრებას ქართულ კულტურასთან მიმართებაში.

აღნიშნულ პროგრამაში ჩართულნი იქნებიან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება, ახალგაზრდები, სხვა ინტერესთა ჯგუფები და სკოლის მასწავლებლები, რომლებიც მიიღებენ უახლეს ინფორმაციას აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის შესახებ.

ხელი შეეწყობა მოზარდებში ესთეტიკური ღირებულებებისა და კულტურული ფასეულობებისადმი სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას და ცოდნის ამაღლებისაკენ სწრაფვის გაძლიერებას.

შედეგი:

ბუკლეტი, პირველად, დაიბეჭდა 2015 წელს ქართულ და ინგლისურ ენაზე. მიმდინარე წელს მოხდა ამ ბუკლეტის შევსება. მასში შეტანილია აფხაზეთის მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის უძრავი 28 ძეგლი და კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი 9 ძეგლი. ბუკლეტი ითარგმნა ინგლისურ და რუსულ ენაზე; განახლებულია კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ფოტომასალა _ ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერით. (დაიბეჭდა 250 ეგზემპლიარი).

ბუკლეტში შეტანილია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ერთიანი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა განახლებული სია, მათ შორის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მითითებით.

პროგრამა უზრუნველყოფს, პირდაპირი და ირიბი ბენეფიციარების ინფორმირებულობას აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის აუცილობლობისა და მისი პოპულარიზაციის მნიშვნელობის შესახებ, რათა თავის მხრივ მომავალი თაობებისათვის შენარჩუნდეს საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და შემონახული ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 5 000 ლარი.

ხარჯი: 3 300 ლარი.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

პრიორიტეტის დასახელება: სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა(06 08)

პროგრამის დასაბუთება:

სპორტი წარმოადგენს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოზარდების გაჯანსაღების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ მიმართულებას, ნარკომანია და სხვა მავნე ჩვევებთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებას, კრიმინოგენური მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე რეალურ გზას, რის გამოც ძალზე მნიშვნელოვანია მისი როლი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კრიზისის დაძლევაში.

პრიორიტეტის ძირითადი მიზანია საქართველოსა და საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის აფხაზეთიდან დავნილი სპორტსმენებისა და მოზარდების მზადება, ისეთი სპორტული ღონისძიებებზე მოზარდების დასწრება, რომლებიც დევნილ მოსახლეობაში ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და პოპულარიზაციას. კონკრეტულ მიზანს კი შეადგენს: სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხარისხის ამაღლება, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩაბმა ფიზიკურ აქტივობებში. სპორტსმენების ძველი და ახალი თაობების დაახლოება, მათი ინტეგრაცია სპორტულ ცხოვრებაში. აგრეთვე, სპორტის მეშვეობით კულტურათა გაცვლა და ტოლერანტობის განვითარება.

დევნილი გუნდები განიცდიან მატერიალურ სიდუხჭირეს. აფხაზეთის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ეხმარება მათ სასწავლო-საწვრთნო შეკრებების უზრუნველყოფაში, ქვეყნის ფარგლებსა თუ ფარგლებს გარეთ შეჯიბრებებში მონაწილეობაში, სპორტული ინვენტარისა და ფორმების შეძენაში.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 29 040 ლარი.

ხარჯი: 28 930 ლარი.

სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერის ქვეპროგრამა (06 08 01)

პროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია ახალგაზრდა და ვეტერან სპორტსმენთა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა და პროპაგანდა, აფხაზეთის სპორტსმენების და მწვრთნელების ხელშეწყობა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ტექნიკური უნარ-ჩვევების დახვეწა, აფხაზეთის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ეხმარება დევნილი სპორტსმენებს სასწავლო-საწვრთნო შეკრებებში, ქვეყნის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ შეჯიბრებებში მონაწილეობაში, სპორტული ინვენტარისა და ფორმების შეძენაში.

ეს ხელს შეუწყობს სპორტსმენების სასწავლო-საწვრთნო პროცესის წარმართვას, სხვადასხვა სახის რეგიონალურ და საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებში მონაწილეობას, რაც იქნება მოსამზადებელი ეტაპი, რათა აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენები მოხვდნენ საქართველოს ნაკრებ გუნდებში და ღირსეულად წარმოაჩინონ ქვეყნის სახელი.

შედეგი:

➤ დაფინანსდა ააიპ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია“, სოხუმის „დინამოს“, თბილისის „დინამოს“, საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების წევრის სპორტის ოსტატის ალექსი ილიადის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარებისათვის ტურნირში მონაწილეობა მიიღო 6 გუნდმა: „ვიტ ჯორჯია“ თბილისი, „მერანი“ თბილისი, „იბერია 2017“, მუხრანი, „ლომები“ თბილისი, „გორარხი“ მარნეული. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, ბურთებით და სიგელებით.

➤ დაფინანსდა ააიპ ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანების მიერ ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანების მიერ ორგანიზებული ძალისმიერი სპორტის შეჯიბრი „აფხაზეთი საქართველოა“.

ღონისძიების შედეგი:

ქალაქ თბილისში ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანებამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით პირველად საქართველოში ჩაატარა სპორტულ-მასობრივი ღონისძიება (აფხაზეთის ღია ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდის მოძრაობებში) დასახელებით „აფხაზეთი საქართველოა“ მონაწილეობა მიიღეს 100-მდე სპორტსმენმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, მათ შორის აფხაზეთიდან დევნილებმაც.

➤ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის საქართველოს ძიუდოს გოგონათა ნაკრები გუნდის წევრის ჯულიეტა როდონაიასათვის ლიცენზირებული ძიუდოს კიმონოს შეძენა.

ღონისძიების შედეგი:

საქართველოსა და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება;

➤ თანადაფინანსდა საქართველოს ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ღია სამოყვარულო საჩოგბურთო ფესტივალის „სპორტი და მშვიდობა“ ჩასატარებლად.

ღონისძიების შედეგი:

ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ღია სამოყვარულო საჩოგბურთო ფესტივალი „სპორტი და მშვიდობა“. გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით და სიგელებით.

- თანადაფინანსდა საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაცია ტურნირის „აფხაზეთის თასი“ ჩატარებისათვის.

ღონისძიების შედეგი:

ჩატარდა ამპუტანტთა ფეხბურთის ტურნირი „აფხაზეთის თასი“. ფინალური შეხვედრა ზესტაფონისა და თბილისის ამპუტანტ ფეხბურთელებს შორის გაიმართა. გამარჯვება მოიპოვა თბილისის გუნდმა. პრიზიორი გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით და სიგელებით.

- დაფინანსდა საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაცია, ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი საცხენოსნო ტურნირის: „აფხაზეთის თასი“ ჩასატარებლად.

ღონისძიების შედეგი:

ტურნირში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 3 მონაწილემ.

- დაფინანსდა ააიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ეროვნული გმირის გურამ გაბისკირიას სახელობის მინი-ფეხბურთის ტურნირის ჩატარებისათვის

ღონისძიების შედეგი:

ტურნირში მონაწილეობა მიიღო 12 გუნდმა: „ვიტ ჯორჯია“ თბილისი, „მერანი“ თბილისი, „იბერია 2017“, მუხრანი, „ლომები“ თბილისი, „გორარხი“ მარნეული. შეხვედრები ჩატარდა ორ ჯგუფად. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, ბურთებით და სიგელებით.

- დაფინანსდა ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „აფხაზეთი“ მოედნის იჯარის თანხის გადასახადით 800 ლარის ოდენობით.

ღონისძიების შედეგი:

ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „აფხაზეთი“ წლის მანძილზე ივარჯიშებს თბილისის ზღვაზე არსებულ საფეხბურთო მოედანზე. სკოლა ყოველწლიურად მონაწილეობს ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში.

შედეგი:

აფხაზეთიდან დევნილი ფედერაციების, კლუბების, გუნდების, ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების, მწვრთნელების ხელშეწყობა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ტექნიკური უნარ-ჩვევების დახვეწა, მსოფლიო სპორტულ მიღწევებში ხელის შეწყობა, პროფესიონალ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს შორის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება სპორტული ოსტატობის განვითარება.

ქვეპროგრამის წლიური ბიუჯეტი: 27 040 ლარი

პრობლემური ანალიზი

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა ნაწილობრივ უზრუნველყო აფხაზეთიდან დევნილი ფედერაციების, კლუბების და დევნილი სპორტსმენების დაფინანსება. დევნილი გუნდები და სპორტსმენები მოკლებული არიან ფინანსურ დახმარებას რის გამოც ვერ ახერხებენ შეჯიბრებებში მონაწილეობას და სპორტული ოსტატობის ამაღლებას.

ვეტერან სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა და წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოვება (06 08 04)

პრიორიტეტის მიზანი:

სპორტის მესვეურთა დაჯილდოვება ხელს უწყობს სპორტსმენების ძველი და ახალი თაობების დაახლოებას, მათ ინტეგრაციას სპორტულ ცხოვრებაში. ამ ქვეპროგრამის საშუალებით ხდება სპორტის პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა მოზარდ თაობებში და ნიჭიერი ახალგაზრდების და ვეტერანი სპორტსმენების მხარდაჭერა. ამ ტიპის ღონისძიებების განხორციელება უნდა გახდეს მოზარდი თაობის დაახლოების, ნდობის, ადამიანური ურთიერთობების და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშემწყობი. ამიტომაც სასურველია სისტემატიურად ჩატარდეს მსგავსი ღონისძიებები.

შედეგი:

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა 2020 წლის 24 დეკემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებული ვალერი არქანიას სახელობის გალერეაში ოფიციალურ საზეიმო ღონისძიებაზე სპეციალური სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა აფხაზეთის

სპორტის დამსახურებულ ვეტერან მუშაკებსა და სპორტსმენებს: ლუკა კაჭარავა – საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის დაშლით მოფარიკავეთა ნაკრების წევრი; დავით ზარქუა – საერთაშორისო ოსტატი ჭადრაკში (რეიტინგი 2466); გია (გერასიმე) ესებუა – საქართველოს დამსახურებული სპორტის მუშაკი; მურთაზ ვეკუა – სპორტის ოსტატი, სოხუმის ფეხბურთის გუნდ „დინამოს“ მოთამაშე 1967-1979 წლებში. დავით თაქთაქიშვილი – საწმერთნელო ლიცენზიის მფლობელი ფეხბურთში, ქალთა საფეხბურთო კლუბ სოხუმის „დინამოს“ დამაარსებელი; ნუგზარ ბოჯგუა – სოხუმის „ცხუმის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი; ზურაბ შენგელია – ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ძალისმიერ სამჭიდში; მარიამ შვაცაბაია – თბილისის ზამთრის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული სიმალლეში ხტომაში; ბენო ადამია – კარატის შერეულ ორთაბრძოლებში ევროპისა და აზიის ჩემპიონი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ბატონი რუსლან აბაშიძე, და სხვა სტუმრები. აფხაზეთის რეგიონალური ოლიმპიური ორგანიზაციის წარმომადგენლები, ოლიმპიური თამაშების პრიზიორები და ჩემპიონები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენები და სპორტული კლუბების (სკოლების) წარმომადგენლები, აფხაზეთის სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციის წარმომადგენლები და სხვა.

ღონისძიება ჩატარდა კოვიდ უსაფრთხოების დადგენილი წესების სრული დაცვით.

არასაბიუჯეტო ღონისძიებები:

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა ფინანსური მხარდაჭერის გარეშე განახორციელა რიგი ღონისძიებებისა, აღნიშნული აქტივობების მიზანი ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, მოზარდ-ახალგაზრდობის ჩართულობის გააქტიურება სამოქალაქო და საზოგადოებრივ აქტივობებში.

განხორციელებული ღონისძიებები:

➤ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ქალაქ თბილისში მოქმედ აფხაზეთიდან დევნილ ნორჩ ძიუდოისტებს სპორტული ინვენტარი (კიძანოები) გადაეცათ, აფხაზეთიდან დევნილი ნორჩი ძიუდოისტები სასწავლო წვრთნებს თბილისში, სპორტკომპლექს „მარტვეში“ ზაზა მახათაძის ხელმძღვანელობით გადიან.

➤ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის ორგანიზებითა და ეროვნული ერთიანობის ცენტრის – „ყოფილი შრტავას საზოგადოების“

ინიციატივით „ქიული შარტავას სახელობის საფოსტო მარკის პრეზენტაცია გაიმართა საქართველოს პარლამენტის შენობაში.

➤ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ აფხაზეთის ტიტულოვან სპორტსმენებთან და მწვრთნელებთან კორონავირუსით გამოწვეულ რთულ ვითარებასა და ამ ვითარებიდან გამოსვლის დასახვის გზებზე ვიდეოკონფერენცია გამართა.

➤ თბილისის ზღვის დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ტერიტორიაზე სსიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ ჩაატარა ტურნირი სამკაცა კალათბურთში (3X3) დევნილ მოზარდებს შორის. ტურნირს ესწრებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები.

➤ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხარდაჭერით იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა ჩაატარა მინი-ფეხბურთის შეჯიბრი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (ფოთი, ზუგდიდი, ბათუმი) მცხოვრები დევნილი მოზარდების მონაწილეობით.

➤ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენელმა ვიტალი ბენდელიანმა ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის არჩევნებში.

➤ სსიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთან ერთად ჩაატარა აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს შორის ტურნირი მინი-ფეხბურთში.

➤ ჩატარდა საქართველოს თასი ძალისმიერ სამჭიდში, კატეგორია: ბიცებზე წონის აწევაში და უსასრულო ამოწევაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთიდან დევნილმა სპორტსმენებმა.

➤ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოლიმპიურმა ორგანიზაციამ 1 დეკემბერს განახორციელა პროგრამული ღონისძიება „სპორტი ყველასათვის“, მოეწყო შეჯიბრებები დევნილ მოზარდებთან სპორტის სხვადასხვა სახეობებში: რბენა 100 მეტრზე, სიმძიმეების აწევა, ბაგირის გადაძალვა, მინი-ფეხბურთი. მონაწილეთა რაოდენობა 120 დევნილი მოზარდი. ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სპორტული მაისურებითა და სერთიფიკატებით. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით.

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული

სახელმწიფო თეატრი

პრიორიტეტის აღწერა:

თეატრის მიზანია ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარება, საზოგადოებისათვის აქტუალური თემების წარმოჩენა სცენაზე, მაყურებლის სულიერი განვითარებისათვის ზრუნვა, იძულებით გადაადგილებულ პირთა კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნებისთვისა და სულიერი გამხნევებისთვის ზრუნვა, ღვაწლმოსილი სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრის ღირსეული წარმოჩენა როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო თეატრალურ სივრცეში. ასევე სულიერი განვითარება და თეატრის, როგორც ჩვენი ცხოვრების ანარეკლის პოპულარიზაცია. დღეს ქართულ საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება მაღალი დონის ხელოვნება, კერძოდ, მაღალმხატვრული სპექტაკლები, რომლებსაც ნახავს არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და უცხოელი მაყურებელი. სპექტაკლების გატანა საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ.

პრიორიტეტის მიზანი:

საზოგადოებისათვის აქტუალური, თემატური და პრობლემური სპექტაკლების დადგმა, მაღალი დონის სამსახიობო შესრულება. თეატრის მიზანია როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე საზღვრებს მიღმა გასვლითი ღონისძიებების ჩატარება. ძირითადი აქცენტის გაკეთება საქართველოს იმ კუთხეებზე, სადაც კომპაქტურად იძულებით გადაადგილებულთა შედარებით დიდი დასახლებებია. ასეთი ღონისძიებები თეატრს საშუალებას მისცემს შეასრულოს თავისი უმთავრესი მოწოდება და მისია შექმნას სულიერი პროდუქტი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებულ პირთათვის;

პროექტი „100 სკამი ცის ქვეშ“:

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა პროექტის „100 სკამი ცის ქვეშ“ ფარგლებში 2020 წლის 14 ივლისს ვაკის პარკის ღია კინოთეატრში – „კლუბი 33ა“ – წარმოადგინა სპექტაკლი „იაკიში და პუპჩე“ (რეჟისორი: დავით საყვარელიძე).

გამოხმაურება მედიაში:

➤ <https://www.facebook.com/100skamicisqveS/videos/2519924851443465/UzpfSTEyODI1NjcxNDUxNTI1ODg6MzEwMjA4NTczOTg2NzM3Nw/> - გადაცემა „თვითიზოლაციაში“, TV ფორმულა.

➤ <https://www.facebook.com/100skamicisqveS/videos/279228776525614/UzpfSTEyODI1NjcxNDUxNTI1ODg6MzExMTUzOTA5ODkyMjA0MQ/> - გადაცემა „პირველამდე ნინო არაზაშვილთან ერთად“, TV პირველი.

➤ <https://www.facebook.com/imedisdghe/videos/586604548718897/UzpfSTEyODI1NjcxNDUxNTI1ODg6MzEyNzczNzA5MDYzNTU3NQ/> - გადაცემა „იმედის დღე“, TV იმედი.

➤ <https://www.youtube.com/watch?v=pAhPU1F2HVc&feature=share&fbclid=IwAR09b1RTWPNOtUZyvyzVZoD-oci2sfu8HOvpkRRHGcJ6MjIc7mwbDAsXh5ko>
- აფხაზეთის საინფორმაციო ცენტრის რეპორტაჟი პროექტის შესახებ.

შემოქმედებითი კუთხით განხორციელებული პროექტები:

საქართველოში COVID-19 ვირუსის აფეთქების პერიოდში, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელმწიფო დრამატულ თეატრს მუშაობა შემოქმედებითი და ადმინისტრაციული კუთხით არ შეუჩერებია. 2020 წლის 23 მაისს, თეატრმა ვიდეო სპექტაკლით „ქართველი მწერლები აფხაზეთზე“ მიულოცა სრულიად საქართველოს „აფხაზეთობა“. აპრილი-მაისის თვეებში, თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი აქტიურად მუშაობდა ვიდეო-სპექტაკლის შექმნაზე. მსახიობები თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად ერთვებოდნენ პროგრამაში „Zoom“ და ონლაინ რეჟიმში გადიოდნენ რეპეტიციებს. ვიდეო-სპექტაკლი „ქართველი მწერლები აფხაზეთზე“ შეგიძლიათ იხილოთ სოხუმის თეატრის Youtube-ის არხზე:

<https://www.youtube.com/watch?v=rJfnlPINHxk>

გამოხმაურება მედიაში:

➤ მოამბე, საქართველოს პირველი არხი - 1TV.
ლინკი:

<https://www.facebook.com/1stchannel/videos/292267205130046/UzpfSTEyODI1NjcxNDUxNTI1ODg6Mjk5NjQ3OTkwNzA5NDYyOA/>

➤ გადაცემა „პირველამდე ნინო არაზაშვილთან ერთად“, TV Pirveli -ტელეკომპანია პირველი.

ლინკი:

<https://www.facebook.com/tvpirveli/videos/531499727544869/UzpfSTEyODI1Njc xNDUxNTI1ODg6MzAwMDkwNTQ0NjY1MjA3NA/>

➤ ქრონიკა, ტელეკომპანია იმედი - TV Imedi.

ლინკი:

https://www.imedi.ge/ge/video/55340/apkhazetoba?fbclid=IwAR0iBY9vE4Qprjcdk ILYpRR7macuUr3y_AeqJa0nlZqhni2RS_W5J0f7n1g

➤ 23 მაისს, საპატრიარქოს ტელევიზიის "ერთსულოვნება" პირდაპირ ეთერში, 22:20 საათზე, ნაჩვენები იყო სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ვიდეო-სპექტაკლი -" ქართველი პოეტები აფხაზეთზე".

ლინკი: <https://sstv.ge>

მსოფლიოს არაერთმა სახელმწიფო თუ დამოუკიდებელმა თეატრალურმა კომპანიამ, პანდემიის პერიოდში დაიწყო თავიანთი სპექტაკლების ონლაინ ჩვენება.

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი შეუერთდა ამ წამოწყებას და თეატრის სოციალური ქსელების (Facebook; Instagram; Feedc; You tube) მეშვეობით მაყურებელს წარუდგინა სპექტაკლი „მთვარის მოტაცება“ ონლაინ რეჟიმში (თამაზ გოდერძიშვილის ინსცენირება; რეჟისორი: გოჩა კაპანაძე).

სპექტაკლის

ჩანაწერი: <https://www.youtube.com/watch?v=byCzKPAo4uM&t=1942s>

2020 წლის თებერვალში გაიმართა სპექტაკლის „ტროა, დაკარგული სამოთხე“ საპრემიერო ჩვენებები.

ტროა, დაკარგული სამოთხე

(ევრიპიდესა და ჟან-პოლ სარტრის „ტროელი ქალების“ მიხედვით)

- ▶ ტექსტის ავტორი და რეჟისორი: გამზე თანრივერმიში
- ▶ ქორეოგრაფი: ნათია ბუნტური
- ▶ მხატვარი: ნანკა ესიავა, ნინა ჯანდიერი
- ▶ მუსიკა: სანდრო ნიკოლაძე, დათო კაკულია
- ▶ რეჟისორის თანაშემწე: სვეტლანა გოგოხია
- ▶ ტექნიკური რეჟისორი: თამარ შუკაკიძე

მონაწილეობენ: ეკა არჩაია, ნინო ლეჟავა, ჯულიეტა პაკელიანი, მერი ფხოველიშვილი, ნინო შავგულიძე, ლელა შარაბიძე, სანათა ძაძამია, სალომე ჭულუხაძე.

პროექტი განხორციელდა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოსა და თურქეთის საელჩოს მხარდაჭერით.

სპექტაკლის „ტროა, დაკარგული სამოთხე“ ტექსტი ითარგმნა აფხაზურ ენაზე და მომზადდა სუბტიტრები.

სპექტაკლისთვის სპეციალურად შეიქმნა ასევე აფხაზურენოვანი პოსტერი და პროგრამა.

2020 წლის თებერვლის თვეში განხორციელდა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და „რუსთაველის 19“-ის ერთობლივი პროექტი:

სპექტაკლი _ „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“.

ავტორი: მონძაემონი ჩიკამაცუ

რეჟისორი: მიხეილ მრეველიშვილი

მხატვარი: თეონა პაიჭაძე

კომპოზიტორი: დათო ევგენიძე

მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ნანკა გვარიშვილი, ნიკა წერედიანი, ანა მატუაშვილი, თორნიკე ბელთაძე, ბექა ქავთარაძე, ნინო თარხან-მოურავი, ბადრი ბეგალიშვილი, გიორგი ლორია.

- 2020 წლის 1 სექტემბერს რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტში არსებული ნოქალაქევის ისტორიულ ციხე ქალაქში წარდგენილ იქნა სპექტაკლი _ „მთვარის მოტაცება“ _ რეჟისორი გ. კაპანაძე;
- 2020 წლის დეკემბრის თვეში თეატრს მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია სპექტაკლსათვის - „მთვარის მოტაცება“ - რეჟისორი გ. კაპანაძე.

ადმინისტრაციული კუთხით შესრულებული საქმიანობები:

- თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მომზადდა თეატრის ვებგვერდი www.Sokhumitheatre.ge
- ვებგვერდისთვის ინგლისურ ენაზე ითარგმნა დეტალური ინფორმაცია თეატრის, მისი შემოქმედებითი კოლექტივისა და რეპერტუარის შესახებ. აღნიშნული თარგმანი სტილისტურად გაასწორა თეატრის მიერ დაქირავებულმა ინგლისურენოვანმა სპეციალისტმა.
- შეიქმნა თეატრის დარბაზის 3D გამოსახულება.
- თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მომზადდა თეატრის განათების გეგმა.

➤ განათების გეგმის ჩამოსატვრითი ლინკი:

<https://smallpdf.com/shared#st=bcaecc5c-392d-45ac-89ea-a9bb3faf2b6b&fn=Brandbook.pdf&ct=1594898173993&tl=share-document&rf=link>

➤ მიმდინარეობს თეატრის არქივის განახლება-გაციფრულება.

➤ შეიქმნა თეატრის ბილეთის ახალი დიზაინი.

➤ მომზადდა მაკეტი, რის მიხედვითაც იგეგმება სალაროს მშენებლობა.

➤ მომზადდა თეატრის ბრენდირებული ნივთები.

➤ მომზადდა თეატრის „ბრენდის წიგნი - Brand Book“, რომლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია:

[https://smallpdf.com/shared#st=bcaecc5c-392d-45ac-89ea-](https://smallpdf.com/shared#st=bcaecc5c-392d-45ac-89ea-a9bb3faf2b6b&fn=Brandbook.pdf&ct=1594898173993&tl=share-document&rf=link)

[a9bb3faf2b6b&fn=Brandbook.pdf&ct=1594898173993&tl=share-document&rf=link](https://smallpdf.com/shared#st=bcaecc5c-392d-45ac-89ea-a9bb3faf2b6b&fn=Brandbook.pdf&ct=1594898173993&tl=share-document&rf=link)

მიმდინარე პროექტები:

ამ ეტაპზე, თეატრში შემოქმედებითი კუთხით მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ:

შეირჩა 3 ახალი პიესა:

➤ უკანასკნელი უბიხი, ავტორი: ბაგრატ შინქუბა, სასცენო ვერსიის ავტორი: ირაკლი სამსონაძე; დამდგმელი რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი;

➤ „ინსპექტორის ზარი“, ავტორი: ინგლისელი კლასიკოსი ჯონ პრისტლი, დამდგმელი რეჟისორი: დავით საყვარელიძე;

➤ „ცნობისმოყვარე ძაღლის ინციდენტი ღამით“, ავტორი: საიმონ სტივენსი, დამდგმელი რეჟისორი: ანა ნიკოლაშვილი;

➤ განაწილდა როლები;

➤ მიმდინარეობს ტექსტებზე მუშაობა;

➤ დაიწყო პიესების ქართულ ენაზე თარგმნის პროცესი;

➤ თეატრმა დაიწყო მზადება საიუბილეო 135-ე წლის აღსანიშნავად.

სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული

სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“

სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“ 2020 წელს მაყურებლის წინაშე წარდგა ექვსი სპექტაკლით.

➤ 18 იანვარს ქალაქ ზუგდიდში გაიმართა 2 სპექტაკლი „ბრემნელი მუსიკოსები“, რომელიც წარვუდგინეთ ზუგდიდში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მოსწავლე-ახალგაზრდობას, აღნიშნული ღონისძიება ორგანიზებულ იქნა ჩვენი თეატრისა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ. 3 თებერვალს ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრის დიდ სცენაზე გაიმართა 2 სპექტაკლი „ციცქნა იას დღეობა“ 12:00 და 15:00 საათზე. 24 თებერვალს ზემოაღნიშნული თეატრის დიდ სცენაზე გაიმართა 2 სპექტაკლი „ბრემნელი მუსიკოსები“ 12:00 საათზე და „მატყუარა“ 14:00 საათზე.

➤ COVID 19 -ის ჩვენს სახემწიფოში შექმნილმა პანდემიამ გარკვეული კორექტივები შეიტანა თეატრის მუშაობაში, აღნიშნულ პერიოდში თეატრი მუშაობას აგრძელებდა დისტანციურად, მიმდინარეობდა რეპეტიციები ახალი სპექტაკლებისა ვაჟა-ფშაველას „ტყის ზღაპარი“ და მ. მოსულიშვილის „მხიარული დამბაჩა“, რომელის დაფინანსების წყარო „საქართველოს პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის“ პროგრამაა.

➤ მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები ახალი სპექტაკლის გ. ბათიაშვილის „1832 წელი“ დადგმის განხორციელებისათვის:

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი: მიხეილ რატიანი;

დამდგმელი მხატვარია ლომგულ მურუსიძე (კ. მარჯანიშვილისა და პ.ოცხელის პრემიების ლაურეატი);

კომპოზიტორი: ზვიად ბოლქვაძე.

➤ თეატრმა განახორციელა ახალი კონტაქტების დამყარების სხვადასხვა ფორმა საჯარო სკოლებთან, კოლეჯებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს თეატრის შემოსავლების ზრდას.

➤ წარმატებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მუნიციპალურ სამსახურებთან და თეატრალურ კოლექტივებთან კონკრეტული სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა- განხორციელებისათვის.

➤ თეატრის ხელმძღვანელობა და შემოქმედებითი კოლექტივი შეთანხმებული დისტანციური მეთოდის მუშაობით ახორციელებს მიმდინარე ნაყოფიერ შემოქმედებით პროცესს და რეპერტუარის გადახალისებას ახალი საინტერესო სპექტაკლებით.

სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“

პრიორიტეტის აღწერა:

ქართული და აფხაზური ფოლკლორის პოპულარიზაცია; აფხაზეთის ფოლკლორული საშემსრულებლო ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება.

პრიორიტეტის მიზანი:

ანსამბლის მაღალი საშემსრულებლო დონე; ქართული და აფხაზური ფოლკლორის ნიმუშების გაცნობა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის, საქართველოსა და უცხოელი მაყურებლებისათვის; წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობა; მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებში, ფესტივალებსა და პროექტებში საქართველოსა და უცხოეთში. ნიჭიერი შემოქმედებითი კადრების მოზიდვა – დაოსტატება; კონცერტების გამართვა; სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა;

ჩატარებული ღონისძიებები:

- 2020 წლის 03 თებერვლის საღამოს ანსამბლის მომღერალთა დასმა მონაწილეობა მიიღო სატელევიზიო პროექტ „მხოლოდ ქართულის“ ფინალში.
- Covid-19 ინფექციის პანდემიის პირობებში 2020 წლის II რეპეტიციებისა და კონცერტების ჩატარება არ იყო ნებადართული და შესაბამისად შეწყდა რეპეტიციები. ანსამბლის ადმინისტრაცია კი მუშაობდა დისტანციურად.
- 2020 წლის III კვარტლში, სექტემბერში, აფხაზეთის ა.რ. მთავრობის ორგანიზებით ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ. #68 მისამართზე, დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზში, ჩატარდა დევნილთა და ვეტერანთა გაერთიანება „სოხუმის“ გარნიზონის დაფუძნების კრება, რომლის მუსიკალური გაფორმებაც განახორციელა ანსამბლმა.
- 2020 წლის IV კვარტლში, ვიდრე ქვეყანაში არსებული პანდემიის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობა აკრძალავდა რეპეტიციებსა და კულტურულ ღონისძიებებს, ანსამბლი ატარებდა რეპეტიციებს და ხვეწდა საკონცერტო პროგრამას.

აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა

პრიორიტეტის აღწერა:

აფხაზეთის მუსიკალური ხელოვნების განვითარება; ქართული, აფხაზური და მსოფლიო საგუნდო და აკადემიური მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ; თანამედროვე ქართული და მუსიკალური შემოქმედების სტიმულირება.

პრიორიტეტის მიზანი

კაპელის მაღალმხატვრული დონის განუხრელი დაცვა; მისი შემოქმედების ცნობადობის ამაღლება ქართველ და უცხოელ მსმენელთა წინაშე; წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობა; ახლადშექმნილი მუსიკალური ნაწარმოებების წარმოჩენა; მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებში, ფესტივალებსა და პროექტებში საქართველოსა და უცხოეთში. ნიჭიერი შემოქმედებითი კადრების მოზიდვა -დაოსტატება; რეპერტუერის მრავალფეროვნება და განახლება; კონცერტების გამართვა;

ჩატარებული ღონისძიებები:

- 2020 წლის I კვარტალში მიმდინარეობდა ახალ მუსიკალურ პროგრამაზე მუშაობა. 03 მარტიდან რეპეტიციები გაგრძელდა დისტანციურად. ონლაინ გაკვეთილებზე მოხდა ახალი მასალის შესწავლა _ ფრანსის პულენსკის მესა სოლ მაჟორი.
- 2020 წლის II კვარტალში რეპეტიციები ტარდებოდა დისტანციურად _ ჯგუფურად ონლაინ გაკვეთილების სახით, სადაც ხდებოდა კაპელის არსებული რეპერტუარის გამეორება და ახალი მასალის ათვისება. ადმინისტრაცია მუშაობას განაგრძობდა დისტანციურად.

სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“

პრიორიტეტის აღწერა:

სააგენტოს კულტურული მიმართულება მიზნად ისახავს ქართულ-აფხაზური კულტურის განვითარების ხელშეწყობას და მის პოპულარიზაციას; სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ასოციაციასთან და კავშირებთან კონტაქტის დამყარებას; კულტურული ღონისძიებების, გამოფენების, პრეზენტაციებისა და შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; დევნილი ბავშვების მუსიკალური, ქორეოგრაფიული განათლების ხელშეწყობასა და საჭირო პირობების შექმნას; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის წიგნების, საზოგადოებრივ-

სალიტერატურო ჟურნალ „რიწის“, საყმაწვილო შემეცნებით-ლიტერატურულ ჟურნალ „იალქნის“ გამოცემას.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულების მიზანია აფხაზეთში პოპულარული და ტრადიციული სპორტის სახეობების განვითარების ხელშეწყობა; სპორტსმენტა ოსტატობის ზრდა; აფხაზეთისა და ქვეყნის ძირითადი და ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისათვის პოტენციური რეზერვების გამოვლენა; სააგენტოს სისტემაში არსებული სპორტული მიღწევების გაუმჯობესება;

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და განვითარება; აფხაზეთიდან დევნილი მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა, გაჯანსაღება, მათი მასიური ჩაბმა სპორტულ სახეობებში; მაღალი რანგის სპორტსმენტების მომზადება სპორტის სხვადასხვა სახეობაში, შემდგომში მათი დელეგირება აფხაზეთისა და საქართველოს ნაკრებში. სააგენტოს ამოცანაა აფხაზეთის, საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის და ოლიმპიური თამაშებისთვის კანდიდატების მომზადება.

სააგენტო წარმართავს არსებული სპორტული ჯგუფებისა და გუნდების სასწავლო-სამწვრთნელო მუშაობას (თავისუფალი ჭიდაობა, მძლეოსნობა, ფარიკაობა, კალათბურთი, მინი-ფეხბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძალოსნობა, ძიუდო), რომელთა აღზრდა-მომზადებას ემსახურება 12 მწვრთნელი (მათ შორის 5 საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი).

ჩატარებული ღონისძიებები:

➤ სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ 2020 წლის დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად გამოცა ჟურნალ „რიწის“ სამი ნომერი. დაგეგმილი იყო ჟურნალ „რიწის“ პერიოდულ გამოცემათა პრეზენტაციები, რომლებიც ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური სიტუაციის გამო გადაიდო. პრეზენტაციები ჩანიშნული იყო შემდეგ ლოკაციებზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აფხაზეთის ა/რ. განათლებისა და კულტურის სამინისტრო; საქართველოს მწერალთა სახლი; მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი. დაგეგმილი პრეზენტაციების გადადების სააგენტომ გააქტიურდა ინტერნეტ სივრცეში, სააგენტოს ვებგვერდზე, რაც გულისხმობდა მასალების ელექტრონული ფორმით მიწოდებას, ჟურნალის პოპულარიზაცია-პრეზენტირებას, ასევე ამ ნომერში დაბეჭდილ ავტორთა წარდგენას მკითხველის წინაშე, რის შემდეგაც სააგენტომ შეიმუშავა ჟურნალის გაყიდვის ელექტრონული ფორმა, რისი საშუალებითაც დაინტერესებული მკითხველი განაგრძობს ჟურნალის ელექტრონულად გამოწერას. ჟურნალ „რიწის“ პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტოს დირექტორის ლიანა კვარაცხელიას მიერ „იმედის“ სატელევიზიო გადაცემა „სხვა შუადღეში“ მოხდა ჟურნალ „რიწის“ 2020 წლის N1 გამოცემის წარდგენა-პრეზენტაცია და ჟურნალში განთავსებული მასალების მოკლე მიმოხილვა.

➤ ინტერნეტ-ტელევიზიის „არტ-დეპრესანტის“ მეშვეობით ჟურნალ „რიწის“ რედაქტორმა ნანა ქარდავამ მოახდინა ჟურნალ „რიწის“ პირველი ნომრის პრეზენტირება, ასევე, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დილის გადაცემაში „დილა მშვიდობისა საქართველო“ მიმოიხილეს ჟურნალის ახალი ნომერი.

- ჟურნალ „რიწის“ მე-2 ნომრის პრეზენტაცია, მისი თემიდან („სოხუმი-ბათუმი“) გამომდინარე, ქალაქ ბათუმში, ღია სივრცეში, „ანზანის კოშკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა.
- გამოიცა წიგნის „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ ქართულ-ინგლისური ვერსია. (წიგნი „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ ა.წ. მაისში უნდა გაგზავნილიყო ლევილში (საფრანგეთი) ემიგრანტებთან, რაც ქვეყანაში შექმნილი, კოვიდ-19-ით გამოწვეული ვითარების გამო ვე მოხერხდა).
- სამთავრობო ღონისძიება „სამშვიდობო გზავნილის“ ფარგლებში გაიმართა წიგნის – „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ – პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ, როგორც მთავრობის და სხვადასხვა ინსტიტუციების, აგრეთვე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. საღამოს მუსიკალურად აფორმებდა გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა.
- მომზადდა წიგნი „აფხაზეთის სპორტული ქრონიკები“.
- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო „აფხაზეთობა 2020“-ის ჩატარება. დაგეგმილი პროექტის მიხედვით უნდა გამართულიყო სხვადასხვა შემეცნებითი და სახელოვნებო ხასიათის აქტივობები, მუსიკალური და ქორეოგრაფიული კონცერტები თბილისში, ზუგდიდსა და ბათუმში, მაგრამ საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხალხმრავალი ღონისძიებების გაუქმებასთან დაკავშირებით ყველა კულტურული და სპორტული ღონისძიება გადაიდო. სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილი მასშტაბური თავშეყრის კულტურული ღონისძიება ჩანაცვლდა ალტერნატიული პროექტით, რომელიც 2020 წლის მაისისთვის რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესაბამისობაში იყო.
- სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ გადაიღო ვიდეორგოლი „მოგონებები ომამდელ აფხაზეთზე“, რომლის ჩვენებაც გაიმართა 2020 წლის 23 მაისიდან 2020 წლის 27 მაისის ჩათვლით თბილისის, ბათუმისა და ზუგდიდის ცენტრალური ადგილების მონიტორებზე. ვიდეორგოლის სატელევიზიო ჩვენება-გამოქება განხორციელდა ტელევიზიების - „იმედი“, „რუსთავი-2“ მეშვეობით; აგრეთვე ინტერნეტ გამოცემებში: ჟურნალი „სითი“; „თორმეტი“; „ნარგისი“; „At.ge“; „ბომონდი“ და სოციალური გვერდების მეშვეობით.
- სსიპ „კულტურის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „გუმბათი“ მსმენელის წინაშე ტრადიციულად არტ-გენის ფესტივალზე წარსდგა. ანსამბლის მიერ სხვადასხვა ქართულ ხალხურ საკრავებზე შესრულებულმა სიმღერებმა მსმენელის განსაკუთრებული მოწონება, აღტაცება და ოვაციები დაიმსახურა.
- 2020 წლის 3 ივნისს გამოიცა ჟურნალ „იალქნის“ საიუბილეო 45-ე ნომერი. „იალქანთან“ ერთად გამოვიდა „აფქიო“ – კონა-კრებული სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური მდგომარეობის გამო ჟურნალის საიუბილეო ნომრის პრეზენტაცია შედგა, როგორც სოციალურ ქსელში, აგრეთვე ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“.

სოციალური ქსელის მეშვეობით ჩატარდა აქცია: „წაიკითხე ამონარიდები ჟურნალ „იალქნის“ საიუბილეო ნომრიდან“, რომელშიც მონაწილეობდნენ ტელეწამყვანები და მსახიობები.

გამოიცა ასევე „იალქნის“ მე-2 და მე-3 ნომერი, რომელიც მიემდგვნება ერეკლე მეფის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

➤ განხორციელდა სამოქმედო გეგმის მიხედვით დამტკიცებული პროექტი „სიყვარულით, თქვენთვის“. პროექტის ფარგლებში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს ორგანიზებით ქალაქ ბათუმში აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისათვის სპექტაკლი გაიმართა. ბავშვებს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლით – „მიყვარხარ... მიყვარხარ... მიყვარხარ...“ – უმასპინძლა. სპექტაკლს აფხაზეთიდან დევნილი ასამდე ბავშვი დაესწრო, რომელთაც კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოსა და კომპანია „კარფურის“ ერთობლივი საჩუქრები გადაეცათ.

➤ ანსამბლი „გუმბათი“ ფართო საზოგადოებისთვის უფრო საყვარელი და ცნობადი რომ გამხადიროყო, პოპულარულმა მომღერლმა და კომპოზიტორმა - სალომე კორკოტაშვილმა საგანგებოდ დაწერა სიმღერა, რომელიც შეასრულა გოგონათა ფოლკლორული ანსამბლ „გუმბათთან“ ერთად.

➤ სალიოსა და გოგონათა ფოლკლორული ანსამბლის „გუმბათი“ ერთობლივი სიმღერის პრემიერა გადაცემა აკუსტიკაში შედგა.

რეგიონებში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში ჩატარდა შემდეგი აქტივობები:

➤ სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ პროექტის „კულტურული მემკვიდრეობის კვალდაკვალ“, აფხაზეთის მთავრობის, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და მარტვილის მერიის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განახორციელა ფოცხოეწერში კომპაქტურად ჩასახლებული ახალგაზრდების გაყვანა მარტვილში, რაიონის ღირშესანიშნაობების დასათვალიერებლად. მოზარდებმა მდინარე აბაშაზე ნავებით გაისეირნეს და კანიონის ულამაზესი ადგილები დაათვალიერეს. ასევე, ახალგაზრდებმა მოინახულეს დადიანების სალხინოს სასახლე და მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც ქვის და ბრინჯაოს ხანის უნიკალური არქეოლოგიური მასალაა დაცული.

➤ ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმმა დევნილ ახალგაზრდებს უმასპინძლა. ორმოცდაათმა დევნილმა ახალგაზრდამ მუდმივმოქმედი ექსპოზიცია დაათვალიერა. ასევე მუზეუმში გაიმართა საგანგებო ტური და ხელოვნებათმცოდნეებმა ახალგაზრდებს მუზეუმის უნიკალური კოლექცია გააცნეს, რომელიც ბოლო 70 წლის განმავლობაში შექმნილ ქართული სახვითი ხელოვნების ნიმუშებს აერთიანებს.

➤ თეატრთმცოდნემ და სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ კულტურის სამმართველოს უფროსმა ნიკოლოზ წულუკიძემ, მუზეუმის

ტურის შემდეგ, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ დავით საყვარელიძესთან ერთად ახალგაზრდებს ჩაუტარა სემინარი თემაზე: „სოხუმის თეატრის ისტორია“. სემინარის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდებს სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ სპეციალურად მათთვის განკუთვნილი საჩუქრები გადასცა.

➤ 2020 წლის 1 ივნისს დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ „საინფორმაციო ცენტრს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ და სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ შორის.

➤ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“, საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან“ ერთად, გამოაცხადა ლიტერატურულ-შემოქმედებითი კონკურსი სახელწოდებით **„შემოქმედებითი ზაფხული“**. კონკურსში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, რომლებმაც თემებზე „მე ევროპელი“ და „მომავლის აფხაზეთი“ ლიტერატურული ჩანახატები, ესეები და ფერწერული ნამუშევრები წარმოადგინეს. საკონკურსო ჟიურის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულებს და კონკურსის მონაწილეებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

➤ პროექტის **„ევროპული არდადეგები“** ფარგლებში ღონისძიება გაიმართა თბილისში, მარტვილში, ქუთაისში (სათაფლია), ბათუმში, ვარძიასა და წინანდალში. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებს, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე ერთდღიანი სემინარი ჩაუტარდათ.

➤ პროექტის **„ევროპული არდადეგები“** ფარგლებში 300-ზე მეტმა იძულებით გადაადგილებულმა ახალგაზრდამ მიიღო ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ და ამავდროულად ესტუმრა და გაეცნო საქართველოს ისეთ ისტორიულ ადგილებს, როგორცაა მარტვილი, ქუთაისი (სათაფლია), ვარძია, ბათუმი და წინანდალი. პროექტის მიზანია, ახალგაზრდები, რომლებიც ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ, მივაწოდოთ სწორი და ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულების შესახებ და ხელი შევეწყოთ მათ ჩართულობასა და პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას აღნიშნულ პროცესებში. პროექტის დასკვნით ღონისძიებაზე მწერალმა დათო ტურაშვილმა ახალგაზრდებს ექსკურსია მოუწყო ძველ თბილისში და ქალაქის ისტორია გააცნო.

➤ სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით, პროექტ **„სუფთა გარემო – ჯანსაღი ცხოვრება“** ფარგლებში, სოფელ ფოცხოვეწერში და დაბა-წყნეთში დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში დასუფთავების აქცია მოაწყო. ქალაქ ხონში კი გამწვანების აქცია მოეწყო, რომლის ფარგლებშიც №4 საჯარო სკოლის, საბავშვო ბაღის, ხონის ეკლესიისა და

დევნილთა დასახლების მიმდებარე ტერიტორიებზე 200 ძირი ელდარის ფიჭვის ნერგი დაირგო.

➤ ქალაქ ხონის სტადიონზე ადგილობრივი და დევნილი ახალგაზრდების მონაწილეობით მინი ფეხბურთში ტურნირი გაიმართა. გამარჯვებულებს თასები, მედლები და სპორტული ინვენტარი გადაეცათ.

➤ სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ მონაწილეობა მიიღო და გამარჯვებულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში – „შემოქმედებითი თბილისი“ საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით. საკონკურსო პროექტი გახლდათ ჟურნალ „რიწის“ რედაქტორის ილუსტრირებული მონოგრაფია „ტფილისის აფხაზი გუბერნატორი“. ზემოთ აღნიშნული კონკურსის კომისიის გადაწყვეტილებით, სააგენტოს მიერ წარმოდგენილი პროექტი გამარჯვებულად დასახელდა.

➤ 2020 წლის 29 ივლისს „ესთეტიკური სილამაზის ლაბორატორიის“ ინიციატივით აფხაზეთიდან დევნილი, 17 დან 22 წლამდე ასაკის ოცდაათი გოგონასათვის შემეცნებითი მასტერკლასი გაიმართა, როგორ მოვუაროთ სახის კანს ზაფხულის ცხელ დღეებში და როგორ გავირუჯოთ უსაფრთხოდ“. მასტერკლასის დასრულების შემდეგ „ესთეტიკური სილამაზის ლაბორატორიამ“ მონაწილეებს სპეციალურად მათთვის მომზადებული საჩუქრები გადასცა.

➤ ახალგაზრდული სააგენტოს ინიციატივითა და ორგანიზებით რეგიონალური ახალგაზრდული ფორუმები გაიმართა. 14 აგვისტოს ქალაქ ზუგდიდში გამართულ ფორუმში მონაწილეობა სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომაც“ მიიღო. რეგიონული ფორუმების მთავარი მიზანია: ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა „სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგიის 2025“ შემუშავების პროცესში. რეგიონული ფორუმების მიმდინარეობისას ადგილობრივ ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ თემატურ სამუშაო ჯგუფებში, შეიმუშაონ რეკომენდაციები და ასევე, ორგანიზაციების გამოფენაზე წარადგინონ საკუთარი ორგანიზაცია. ფორუმს ესწრებოდნენ საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და ახალგაზრდები. რეგიონული ფორუმების ორგანიზებით მიღებული გამოცდილება საფუძვლად დაედება ახალგაზრდულ საკითხებზე კონსტრუქციული დიალოგის პლატფორმის შემუშავებას და დანერგვას, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრუქტურებს შორის, რეგულარულ ორმხრივ კომუნიკაციას სტრატეგიის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში.

➤ 2020 წლის 6 და 7 მარტს ქალაქ გურჯაანში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის. ხოლო 8 და 9 მარტს – თავისუფალ ჭიდაობაში. ამ ჩემპიონატში „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ სპორტული სახეობა – თავისუფალი ჭიდაობის აღსაზრდელმა, აფხაზეთიდან დევნილმა სპორტსმენმა, ალექსი თოდუამ 85 კგ. წონით კატეგორიაში, მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

➤ 2020 წლის 11-12 მარტს ქალაქ ხაშურში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ აღსაზრდელები. ისინი აფხაზეთის სახელით ასპარეზობდნენ. საქართველოს ჩემპიონის ტიტული დაპირველი ადგილი 55 კგ. წონით კატეგორიაში აფხაზეთიდან დევნილმა, ლუკა ღვინჯილიამ მოიპოვა, მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი კი 71 კგ. წონით კატეგორიაში აფხაზეთის მკვიდრმა გიორგი ნაჭყებამ.

➤ სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ ვეტერან სპორტსმენებთან ონლაინ ფორმატით ტრენინგ-სემინარი და შეხვედრა წარმართა რეგულაციებისა და რეკომენდაციების დაცვით, რომელიც ითვალისწინებს შეხვედრების სერიას წარმატებულ ქართველ სპორტსმენებთან. 2020 წლის 22 ივნისის დღის სტუმარი, ყველასათვის ცნობილი და საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული ქართველი კალათბურთელი, თორნიკე შენგელია იყო. მან ახალგაზრდა, დამწყები კალათბურთელების კითხვებს უპასუხა და საკუთარი გამოცდილება გაუზიარა. საუბარი შეეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: ქართულ და საერთაშორისო ასპარეზზე დაგროვილი გამოცდილება, საკუთარი თავის დამკვიდრება საკალათბურთო სივრცეში, წარმატებული სპორტული კარიერის შექმნა და ის დაბრკოლებები რისი გადალახვაც წარმატების მისაღწევად აუცილებელია.

➤ სააგენტოს 2020 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო აფხაზეთის საკალათბურთო ტურნირის (4 დღიანი) ჩატარება. ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სპორტული და კულტურული ღონისძიებების განუსაზღვრელი ვადით შეჩერებასთან დაკავშირებით, ტურნირს ფორმატი შევუცვალეთ და ღია სივრცეში გავიტანეთ. თბილისის ზღვის დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში კალათბურთის **3X3** ერთდღიანი ტურნირი (4 თამაში ერთ დღეში) გაიმართა. შეჯიბრში მონაწილეობა აფხაზეთიდან დევნილმა, კომპაქტურ ჩასახლებაში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა მიიღეს. ტურნირში გამარჯვებული ახალგაზრდები თასებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ. მონაწილეებს, კი სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ტურნირი ფიფას კატეგორიის არბიტრმა განსაჯა.

➤ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ ინიციატივით **ნოდარ** დარახველიძისა და ვალერი ჯგერენაიას სახელობის კალათბურთის ტურნირი გაიმართა. ტურნირი 13 ოქტომბერს დაიწყო და ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. პირველი საპრიზო ადგილი გუნდმა „ზაზამ“ დაიკავა, ხოლო მეორე და მესამე ადგილები „ჰუნდაიმ“ და „სოხუმმა“ გადაინაწილეს. შეჯიბრში მონაწილეობა რვა საკალათბურთო გუნდმა მიიღო და მისი მიზანი: კალათბურთის პოპულარიზაცია და შემდეგი განვითარება, აფხაზეთის მოზარდი თაობის ჩაბმა სპორტის ამ სახეობაში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება გახლდათ.

➤ ტურნირში გამარჯვებულ გუნდებს ჯილდოს სახით თასები, მედლები და ბურთი გადაეცათ, ხოლო შეჯიბრის საუკეთესო მოთამაშეს, ბომბარდირს, მცველს და ტურნირის აღმორჩენას – სპორტული ინვენტარი. ტურნირს საქართველოს ეროვნული კატეგორიის არბიტრები მსაჯობდნენ.

- აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების მონაწილეობით, ქალაქ ფოთსა და ზუგდიდში დევნილთა დასახლებაში მინი ფეხბურთის ტურნირი გაიმართა. იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ინიციატივითა და სსიპ – „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ მხარდაჭერით, პროექტის – „ჯანსაღი ცხოვრების წესი და ბუნებაზე ზრუნვა – ჩვენი არჩევანია“ ფარგლებში, ქალაქ ფოთისა და ზუგდიდის დევნილთა დასახლებაში მინი ფეხბურთის ტურნირი და დასუფთავების აქცია ჩატარდა.
- 2020 წლის 13-14 მარტს, ამავე ჩემპიონატზე მონაწილეობა უნდა მიეღოთ ასევე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოასპარევე აფხაზეთიდან დევნილ ჩვენს აღსაზრდელებს, მაგრამ ქვეყანაში არსებული მოვლენების (კარანტინის) გამო ჩემპიონატი განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.
- 2020 წლის 19 მარტს ქ. თბილისის საკრებულოს დარბაზში დაგეგმილი იყო ინკლუზიური პროექტის „მოდა საზღვრებს გარეშე“ განხორციელება. ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო ღონისძიება გადაიდო.
- ქვეყანაში არსებული მოვლენების გამო გადაიდო ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მისი მხარდამჭერი გახლდათ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელმაც 100 ქალბატონისათვის სპეკტაკლზე დასასწრები ბილეთები უსასყიდლოდ გამოყო.
- თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში დაგეგმილი კონცერტი, გოგონათა ფოლკლორულ ანსამბლ „გუმბათის“ მონაწილეობით, ვერ განხორციელდა დახურულ სივრცეში კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების აკრძალვის გამო (კორონავირუსის თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით), თუმცა გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „გუმბათი“ მსმენელის წინაშე, ტრადიციულად არტ-გენის ფესტივალზე წარსდგა.
- 2020 წლის 14 მარტისთვის 100 დევნილი ბავშვისთვის უსასყიდლოდ იყო გამოყოფილი ბილეთები თოჯინების თეატრში დასასწრებად და მსახიობებთან შესახვედრად, რომელიც ასევე ქვეყანაში არსებული ვითარების გამო გადაიდო.
- 2020 წლის მარტი-ოქტომბრით დაგეგმილი ტურნირები, რომელიც სამოქმედო გეგმით იყო გაწერილი, ვერ ჩატარდა საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხალხმრავალი ღონისძიებების გაუქმებასთან დაკავშირებით.
- კარანტინის (დისტანციური მუშაობის) პერიოდში შეიქმნა სააგენტოს ვებგვერდი <https://www.csya.ge/>, სადაც მუდამ იდება სიახლეები სააგენტოს საქმიანობის შესახებ.
- სააგენტოს სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიება – „ჯანო ჯანელიძის შემოქმედებითი საღამო“ ვერ ჩატარდა დახურულ სივრცეში ღონისძიებების ჩატარების აკრძალვის გამო, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2021 წლის სამოქმედო გეგმაში.
- 5 სექტემბერს ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმმა დევნილ ახალგაზრდებს უმასპინძლა. სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ ინიციატივით, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმმა ორმოცდაათ დევნილ ახალგაზრდას უმასპინძლა. მათ მუდმივმოქმედი ექსპოზიცია დაათვალიერეს. ასევე მუზეუმში გაიმართა საგანგებო ტური და ხელოვნებათმცოდნეებმა ახალგაზრდებს

მუზეუმის უნიკალური კოლექცია გააცნეს, რომელიც ბოლო 70 წლის განმავლობაში შექმნილ ქართული სახვითი ხელოვნების ნიმუშებს აერთიანებს.

➤ სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოსთან“ არსებული საფეხბურთო გუნდი „აფხაზეთი“, თბილისის მოყვარულთა ლიგის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა. 2020 წელი გუნდისათვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ჩატარებული ოთხი თამაშიდან გუნდმა ოთხივეში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. საფეხბურთო გუნდმა „აფხაზეთმა“, მოყვარულთა უმაღლეს ლიგაში მერვე თამაში გამართა და თბილისის „ირაოს“ დაუპირისპირდა. დამაბულ ორთაბრძოლაში გუნდმა _ „აფხაზეთი“ თბილისის „ირაო“ ანგარიშით 3:2 დაამარცხა.

➤ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს შორის უწყებათაშორისი საფეხბურთო ტურნირი გაიმართა. გამარჯვებულ გუნდებს თასი და მედლები გადაეცათ. საპრიზო პირველი ადგილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრომ დაიკავა. მეორე და მესამე ადგილები კი, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა და განათლებისა და კულტურის სამინისტრომ გაინაწილეს. ფეხბურთო ტურნირი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

➤ 27 სექტემბერს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოსთან არსებულმა გოგონათა ფოლკლორულმა ანსამბლმა _ „გუმბათი“ _ გადაცემაში „დილა უქმეებზე“ გმირების ხსოვნას სიმღერა მიუძღვნეს.

➤ 29 სექტემბერს სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოსა“ და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის სამხატვრო მასტერკლასი გაიმართა. ახალგაზრდები ხელოვნების სასახლეს ესტუმრნენ და უნიკალური ექსპოზიცია დაათვალიერეს. მუზეუმის ტურის შემდგომ კი, ცნობილ ქართველ მხატვარ ელდარ ქავშიაიასთან ერთად ფერწერული ნამუშევრები შეასრულეს თემაზე: „წელიწადის ოთხი დრო აფხაზეთში“.

➤ ახალგაზრდების მიერ შესრულებული ფერწერული ნამუშევრები სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ ინიციატივით კალენდრის სახით დაიბეჭდა.

➤ შერატონ გრანდ თბილისში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, კულტურის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოსა და ჟურნალ „სითის“ ერთობლივი პროექტის „მე აფხაზეთისთვის“ დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა. პროექტი „მე აფხაზეთისთვის“ მიზნად ისახავდა საზოგადოებისთვის გაგვეცნო სხვადასხვა სფეროში მოღვაწე, წარმატებული ადამიანები აფხაზეთიდან. კონკურსის შედეგად შეირჩა საუკეთესო, საინტერესო ისტორიის მქონე ათი გმირი. შერჩეულ გმირებზე მომზადდება სპეციალური ფოტოპროექტი, დაიწერება მცირე ისტორიები და შემდგომში გამოქვეყნდება ჟურნალ „სითიში“, ასევე განთავსდება გამომცემლობის ონლაინ პლატფორმასა და სააგენტოს ვებგვერდზე.

➤ „მე აფხაზეთისთვის“ პროექტი ტრადიციულ სახეს მიიღებს და ყოველ წელს შერჩეული იქნება ათი ახალი გმირი. დასკვნით საღამოზე ირინე ჟორდანიას მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მარქსის ქუჩა #12“ ჩვენება გაიმართა, რომელიც ევროპული კინოდაჯილდოების კანდიდატია.

➤ სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ ინიციატივითა და ორგანიზებით, აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისათვის ჩატარდა ხუთდღიანი ონლაინ ტრენინგი ფოტოხელოვნებაში. პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებისთვის თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის და გამოცდილების გაზიარებას. მონაწილეები ტრენინგების განმავლობაში გაეცნნენ შემდეგ საკითხებს:

- ✓ შესავალი ფოტოგრაფიაში;
- ✓ რა შეცვალა ფოტოგრაფიამ სამყაროში;
- ✓ რატომ არის ფოტოგრაფია მოთხოვნადი;
- ✓ მობილური ფოტოგრაფია;
- ✓ როგორ დავამუშავოთ ფოტო.

➤ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით და კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს ორგანიზებით „ახალი წლის ზეიმი დევნილი ბავშვებისთვის“ ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს საახალწლო საჩუქრები დაურიგდათ. სასაჩუქრე საახალწლო ნაკრები 3-დან 8 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველ ოჯახებს (სოციალური სარეიტინგო ქულა 30000-ზე ნაკლები), რეგიონებში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ბაგა-ბაღის დევნილ ბავშვებს გადაეცათ. აღსანიშნავია ისიც, რომ საახალწლო საჩუქრები შშმ ბავშვებს ბინაზე თოვლის ბაბუმ მიუტანა.

ხარჯი: